# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 18 მარტი 1997 №30 (395) ფასი 40 თეთრი

# გვეშველა: ეროვნულს პატრონი გამოუჩნდა!

როგორც გუშინ შევიტყვეთ, გაირკვა ეროვნული სტადიონის მეპატრონის თუ მეპატრონეთა ვინაობა. სტადიონი ღია სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდება, აქციონერები იქნებიან: თბილისის მერია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სპორტსაზოგადოება „დინამო" და საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო". საკონტროლო პაკეტის მფლობელი თბილისის მერია იქნება. რაკიღა სტადიონი ღია სააქციო საზოგადოებაა, მის აქციონერად გახდომა სხვებსაც შეეძლებათ — გნებავთ, კერძო პირს, გნებავთ, ორგანიზაციას. დაწვრილებით ამის თაობაზე უახლოეს ნომერში მოგითხრობთ, ახლა კი იმასღა დავამატებთ, რომ „ფინეურო კონსალტინგს" ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა და ახლა ჯერი იტალიელებზეა.

ჩვენმა მხარემ ყველა საჭირო საბუთი გაგზავნა იტალიაში და ფირმის პრეზიდენტი მიზარენდარო 25 მარტამდე თბილისში მოიწვია. მიზარენდაროს ჩამოსვლისთანავე გადაწყდება თბილისში ფირმის ოფისის დაფუძნების საკითხიც...

## ყიფიანმა ოსეთიც მოიარა

დავით ყიფიანის მესამე „სანაკრებო" მივლინება წინანდელებზე ხანმოკლე, მაგრამ მათსავით ნაყოფიერი გამოდგა. ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თქმით, რვასაათიანმა მგზავრობამ იგიც და მისი თანმხლებნიც — ნოდარ ახალკაცი და მერაბ რატიანი ძალიან კი დაღალა, მაგრამ ნაკრების ალანიელი წევრების თამაშით კმაყოფილი დარჩა.

— ვლადიკავკაზს თექვსმეტში დილით გავემგზავრეთ და შინ საღამოსვე დავბრუნდით. „ალანიამ" მეტოქე გაანადგურა და ამაში ლომის წილი ჩვენებმა დაიდეს. თავიდანვე მეტოქის თავდამსხმელს მიჩენილმა კახი ცხადაძემ და მარცხენა ფრთის მაკონტროლებელმა ლევან კობიაშვილმა ითამაშეს. ცხადაძეს ხან ჯიშკარიანის მეურვეობა უწევდა, ხანაც „კამაზის" მეორე ფორვარდისა. საუბედუროდ, მეორე ტაიმის დაწყებიდან დაახლოებით 10-15 წუთის მერე კახი შეჯახებისას დაშავდა და იგი შელიათი შეცვალეს, რომლის ძირითადში არდაყენება მცირედი ავადმყოფობით ამიხსნა გაზაევმა. შელიამაც წინა ცენტრალური მცველის ფუნქციები შეასრულა და როგორც სჩვევია, თავდადებით ითამაშა.

შეცვლაზე შევიდა გოგა გახოკიძეც. გაზაევმა იგი თავდამსხმელთა უკან დააყენა, ეგრეთ წოდებულ უკანდაწეული თავდამსხმელის პოზიციაზე და გოგამაც ორ გოლში დაიდო წილი. რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, მან მართლაც აიკლო მარცხენა ფლანგი — დაცვაშიც ყველა შეტევა ჩაშალა და წინაც უამრავი რეიდი განახორციელა. ყველა სტანდარტულ სიტუაციას კობიაშვილი ასრულებდა. მოკლედ, შემიძლია ვთქვა, ვლადიკავკაზიდან კმაყოფილი დავბრუნდი.

**— რამდენად სერიოზულია ცხადაძის ტრავმა?**

— მატჩის შემდეგ გაზაევსაც ველაპარაკე და გუნდის ექიმსაც. ერთი შეხედვით, ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს, მაგრამ განმეორებითი, უფრო სერიოზული გასინჯვა დაადგენს, რამდენად საშიშია ცხადაძის ტრავმა.

**— რადგან ოთხივეს თამაშით კმაყოფილი დარჩენილხართ, უნდა ვივარაუდოთ, რომ 30 მარტის მატჩისთვის ოთხივეს მოიწვევთ...**

— რა თქმა უნდა. თუმცა, არც 21 მატჩის ცსკა — „ალანიას" მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვა დამავიწყდება და საბოლოო დასკვნას მერე გამოვიტან. ამ თამაშს, ადრეც გითხარით, რეზო ძოძუაშვილი დაესწრება და ვიდეოინფორმაციასაც ჩამომიტანს და სხვა საინტერესო ამბებსაც. ალანიელებზე საუბარს კი იმით დავამთავრებ, რომ ჯერ სეზონის დასაწყისია და იმედია, კიდევ მოუმატებენ.

**— მიშა ჯიშკარიანზე რას იტყვით?**

— მიშას თამაში არ წაუვიდა, რადგან ალანიელი მცველები ფხიზლად დარაჯობდნენ, თანაც შუახაზს მოწყვეტილი იყო. თამაშის შემდეგ ბენიამინას ზელკიავიჩუსსაც ვესაუბრე და მანაც მითხრა — დღეს მიშამ მისთვის უჩვეულოდ ცუდად ითამაშა, კვიპროსში ძალზე ძლიერად ჩაატარა საკონტროლო თამაშებიო.

**— მოსკოველ დინამოელთა და არმიელთა მატჩის ვიდეოჩანაწერი თუ ნახეთ?**

— ჯერ არა, ახლაღა მომიტანეს და მალე ვნახავ.

**— საქართველო-სომხეთის მატჩთან დაკავშირებით სიახლე ხომ არაფერია?**

— ახალგაზრდული ნაკრები აღარ ჩამოდის. ამის თაობაზე გაზაევს ვესაუბრე და ალბათ 29 მარტს ვლადიკავკაზში ჩვენი ახალგაზრდები „ალანიას" მეორე შემადგენლობას შეხვდებიან. რაც შეეხება ეროვნულ გუნდს, შესაძლოა, ზოგი ფეხბურთელი 2-3 დღით ადრე ჩამოვიდეს და მათ „დინამოს" შემადგენლობასთან ერთად ვავარჯიშებ, სანამ ნაკრების შეკრება დაიწყება.

**— ჩვენს „ინგლისელებს" თუ მოიწვევთ?**

— ქინქლაძეს ტრავმა მოურჩენია, ყაველაშვილს კი ბოლო მატჩში გამოუჩენია თავი, ასე რომ, ორივეს მოვიწვევ...

**მამუკა ძმარაცხელია**

## მიშამაც გაიხარა

შაბათს „გრიმსბისთან" გასვლით მატჩში კარგა ხნის შესვენების შემდეგ „მანჩესტერ სიტის" ძირითად შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა მიშა ყაველაშვილი და დაბრუნება გოლით აღნიშნა. სწორედ ჩვენებურის გოლის წყალობით „სიტიმ" ქულა შეიმატა. სასიხარულოა, რომ ამავე შეხვედრაში დაუბრუნდა გუნდს გამოჯანმრთელებული გიო ქინქლაძეც და ახლა მისი მონაწილეობა სომხეთთან მატჩში საეჭვო აღარაა.



საქართველოს ჩემპიონატი

16 ტური

მერანი 4:0 მარგვეთი
სამგურალი 0:1 დინამო
კახეთი 1:3 კოლხეთი
გურია 2:2 სამტრედია
თსუ 0:0 გორდა
ოდიში 1:3 ბათუმი
სიონი 0:0 დილა
ივერია 1:4 ტორპედო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 13 | 2 | 0 | 61-12 | 41 |
| ბათუმი | 16 | 11 | 4 | 1 | 43-10 | 37 |
| კოლხეთი | 16 | 11 | 2 | 3 | 37-20 | 35 |
| მერანი | 16 | 10 | 1 | 5 | 26-17 | 31 |
| მარგვეთი | 16 | 7 | 4 | 5 | 26-25 | 28 |
| ოდიში | 15 | 7 | 1 | 7 | 27-17 | 22 |
| ტორპედო | 16 | 7 | 1 | 8 | 36-35 | 22 |
| გურია | 16 | 6 | 3 | 7 | 18-28 | 21 |
| დილა | 16 | 5 | 6 | 5 | 14-19 | 21 |
| სამტრედია | 16 | 6 | 1 | 9 | 18-30 | 19 |
| თსუ | 16 | 4 | 7 | 5 | 17-20 | 19 |
| გორდა | 16 | 5 | 2 | 9 | 25-35 | 17 |
| სამგურალი | 16 | 4 | 2 | 10 | 14-34 | 14 |
| სიონი | 16 | 3 | 4 | 9 | 12-28 | 12 |
| ივერია | 16 | 3 | 3 | 10 | 13-32 | 12 |
| კახეთი | 16 | 4 | 0 | 12 | 7-37 | 7 |



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

შაბათს ხაშურში „ტორპედომ" დიდანგარიშიანი გამარჯვებით განაახლა სეზონი, რამაც ერთობ გაახარა ქუთაისელთა ახალწვეულები — თავდამსხმელი ლევან ქებაძე (მარჯვნივ) და მცველი შალვა ხუჯაძე

ჩემპიონატის განახლებას ორიგინალურად შეეგება ფეხბურთის ფედერაცია: ძველი სახლი იამანიძის ქუჩაზე ჟურნალისტებისთვის ისე მკვიდრად გამოკეტეს, მატჩის ოქმი რაა, მის მოსაპოვებლადაც ცხვირს ვერავინ შეყოფს. აქაოდა, ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეაო, ფედერაციამ იქ „მტერთა" ჭაჭანებაც მოსპო.

კიდევ კარგი, ფეხბურთი ჯერაც სახალხო საკუთრებაა და სტადიონებზე შესვლას ვერავის უკრძალავენ.

# ბურთაობას მოედანი ჭირდება

17.03. თბილისი. ვაკე

**საქართველო 19:6 რუმინეთი**

(11:6). მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

**საქართველო:** (15-9) მაჩიტიძე; ბესელია, ჩიქვინიძე (ზ. ბერიშვილი 68), ძოწენიძე (კ. ალანია 62), ბუგიანიშვილი; ტეფნაძე, ჯანელიძე — (1-8): ფირცხალავა (ჩიქავა 41), მთიულიშვილი (ჭავჭავაძე 41), რეხვიაშვილი (მაჭუტაძე 41); კაცაძე, მჭედლიშვილი; აბდალაძე (კ. კობახიძე 52), ურუშაძე, ობოლაძე (კაპ) (ვართანიანი 52). — 2ლ: მჭედლიშვილი (31), ჯანელიძე (54); 3ს: მაჩიტიძე (3, 18, 73)

**რუმინეთი:** მაფტეი; ტალაბა, ნედელკუ, დუმიტრუ, სეუანი; ბალმოში, ფლუტური (კაპ) — კვესტა, მავროდი, კონსტანტინი; დრაგომირი, სავოილა; კოროდიანუ, ნეგრეში, გირბუ. — 2ს: მაფტეი (10, 21)

„ბორჯღალოსნები" შინ დაბრუნდნენ. მართალია, სასუქმოყრილ ვაკის სტადიონს მტვრის კორიანტელი აღინეს, ვერც რაგბის წერწეტა თეთრი, მხოლოდ საგარეოდ განკუთვნილი ძელები ესო მთლად შეეულად, მოსეირეთა ნაწილიც ჩვეულ ყაიდაზე ასპარეზის გარშემო დაყიალობდა, მაგრამ ათასზე მეტი ქომაგი მაინც შეიყარა, რათა თვალდათვალ და არა მონაყოლით ეხილა, თუ ჩვენი ეროვნული გუნდი რისი მაქნისია ბურთაობაში, ჭიდილსა და ბრძოლაში.

ეს უკვე მერამდენედ გამოჩნდა, რომ ქართველი მორაგბეები ვაჟკაცები არიან. თავდადება სამაგალითო იციან. რაკი კროსის ტრასასა და შტანგის ღარბაზს არავინ ამადლით, რუმინეთის რანგის გუნდებს სიჩქარითა და ჯანით არ ჩამოუვარდებიან. ჭკუაც არ აკლიათ: ტაქტიკას ისე შეარჩევენ, მეტოქე რომ დაიბრიყვონ. ასე მოუგეს ეპოქალური შეხმა რუსეთს, ახლა კი რუმინეთის ის, შინ მოთამაშეთა ნაკრებიც დასცეს, ჩვენი დონის გუნდებს რომ აბურთავებს იმ ფირა-ს პირველობაზე, რომლის ნახევარფინალშიც ჩვენები ერთი თვის თავზე სტუმრად უნდა ეთამაშონ პორტუგალიას.

და მაინც, სულ სხვა საქმეა ბურთაობა. მასში გასაწაფავად საჭიროა მოედანი, რათა ზედ ივარჯიშო. თუკი სათამაშოდ ბევრი ჯოჯღინისა და მავან ძლიერთა გამოქომაგების შემდეგ ვაკეში კიდევ უშვებენ მოწინავე თბილისურ კლუბებსა და ნაკრებს, „ბორჯღალოსნებისათვის" საწვრთნელი ბაზის გამოძებნა ჯერაც ჰაერში გამოკიდული პრობლემაა. საქართველოს რაგბის კავშირს ვაკის სტადიონის რაგბის საერთაშორისო ცენტრად გადაქცევა განუზრახავს, მაგრამ რაკი ამ საქმეს თავი ვერ ედგმება, ნაკრებს მალი-მალ უცხოეთს აგზავნის სავარჯიშოდ და სათამაშოდ. ერთი სიტყვით, რაგინდ მწარეც იყოს ამისი აღიარება, ქართველთა უპირველეს რაგბის გუნდს შინ არ ედგომება.

ეხლა თამაშსაც მივუბრუნდეთ. იგი ძალზედ წააგავდა რუსეთთან მატჩს. თავიდან იყო ულიმღამო, უშელავათო ჯაჯგური და პინგ-პონგი. სტუმრები დერეფანში მარჯვედ წევდნენ მხტომელს. მართალია, კახა მაჩიტიძის გოლებით ორჯერ დავწინაურდით, მაგრამ რუმინეთი უკეთესი გუნდი ჩანდა და სასიკეთო არაფერი გველოდა.

გარდატეხა 25-ე წუთიდან მოხდა. ჩვენი მორკინალები გახელდნენ. მართალია, მოედნის შუაგულში ტუტუცურად „შეტენვით" დაიწყეს, მაგრამ მერე შავლეგ ჯანელიძემ რომ გაბედა და თავისი 22-დან გაინავარდა, თანაგუნდელები კარგად მიყვნენ: ვასიკო კაცაძემ და გელა ფირცხალავამ მეტოქის დაცვა გაანგრიეს. რუმინელებმა იგრძნეს ქართველთა ძალა და შედრკნენ.

ბოლომდე ასე გაგრძელდა. თამაში აგვეწყო. კი ბატონო, ჩვენები მეტისმეტად ბევრს სცოდავდნენ, ალლო და ზომიერება ხშირად ღალატობდათ, ბურთი ხელიდან უვარდებოდათ, კიდეს ვერ უწვდენდნენ მოგერიებულ ბურთს, იერიშს იქით წარმართავდნენ, საითაც წარმატების შანსი ერთობ ცოტა ჰქონდათ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ქართველებს ამ დღეს მოგება რუმინელებზე ბევრად მეტად ულიოდათ. სწორედ ამან გაამარჯვებინათ ნირწამხდარ მეტოქეზე.

მაჩიტიძემ ცენტრიდან დაკრა საჯარიმო და ბურთი კარს მცირედ ასცდა. მერე ისევ კაცაძემ აიწყვიტა, მაჩიტიძემ სტუმრები გააცუცურაკა, მაგრამ ლელოსთან ბურთი ველარ მიაწოდა ბუგიანიშვილს. მერე ზელანდიას მიმავალმა ზურაბ მჭედლიშვილმა დერეფანი მოიგო და თანაგუნდელებიც ისეთი შემართებით მიაწვნენ, რომ ქართველებმა მთლად წალეკეს რუმინელები. პირველი ლელო — 11:6.

რუმინელებმა ხეირიანი ვერაფერი შექმნეს. წაქცეულის დაწიხლვა, გიყვარდეთ, ეხერხებათ. თამაში მაინც უაყალმაყალოდ ჩამთავრდა. შესვენებაზე ჩვენებმა შერკინების მთელი წინა ხაზი შეცვალეს, მერე მათ ორი მარბიელიც შეაშველეს, ბოლოს კი ორი მარქაფა შუამარბიც ვიხილეთ. ძალთა ამგვარი განაწილებით ჩვენს მწვრთნელებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ, მაგრამ ნაღდ ტესტებში ამდენს ვინ შეგაცვლევინებს? — პორტუგალიასთან დამწყებებს მეტი ჯაფა დააწვებათ.

45-ე წუთზე მაჩიტიძეს იოლი საჯარიმო გაუცუდდა. 49-ეზე ჯანელიძემ შერკინებიდან გააქცუნა პაატა ძოწენიძე, ამან კი ფინტების ორი წყების მოუხედავად ლელომდე მაინც ვერ მიატანა. მერე ჩვენებმა თანამედროვე ყაიდაზე სამჯერ გაათამაშეს ბურთი, მიზანს კი ისევ ჯანელიძის მორიგი მოკლე-ფრთული რეიდით უწიეს. მეორე ლელო — 16:6.

რუმინელებმა ისევ სცადეს შეტევა. ქართველებმა თავი დაიცვეს. 65-ე, 67-ე, 71-ე წუთებზე „ბორჯღალოსნების" მორიგი მრავალფაზიანი იერიშები აღინუსხა, მაგრამ ლელოთი ვერ დაგვირგვინდა. მერაბ ბესელიას, კაკო მაჭუტაძის, ირაკლი ჩიქავას, დავით ვართანიანის, კაცაძის და სხვათა, ერთი სიტყვით — ყველას გარჯა ბოლოს ისევ მაჩიტიძემ დააფასა — კარის წინიდან სტუმართა იმედის გადამწური საჯარიმო შეაგდო, რასაც მე-80 წუთზე რუმინელთა ლელო მაინც მოყვა, რომელიც მსაჯმა იმდენ არ ჩათვალა, რომ რუმინელთა მოქმედებაში აკრძალული ილეთი, ე. წ. მხედრული მიხდომა დაინახა.

ჩვენები საპორტუგალიოდ შინ გაავრძელებენ სამზადისს. ღმერთმა ნუ ქნას, უმოედნობით მთლად დავკარგოთ მობურთალის უნარ-ჩვევები.

**ზაზა ფხაკაძე**



საქართველოს ჩემპიონატი **16 ტური**

# დაბრუნებაც ასეთი უნდა

**თსუ 0:0 გორდა**

**თბილისი. სტადიონი: შევარდენი**
**თსუ: ბათიაშვილი, გვაზავა, ვერემეუკი, კობიაშვილი, გიორგი ქორიძე, კანკავა, მინდიაშვილი, მელქაძე, ზიგოშვილი, ჩუხუა, როხტიაშვილი**
**გორდა: მ. ქორიძე, ფაცურია, მურჯიკნელი, პატარიძე, სახვაძე, დარჩიაშვილი (ლაბაძე 63), მელაძე, არსოშვილი, კედელაშვილი, თ. მეტრეველი (მუშკუდიანი 87), მიშველიძე (ლ. ალადაშვილი 89)**
**73-ე წუთზე ჩუხუამ ვერ გამოიყენა პენალტი**
**გაფრთხილება: მურჯიკნელი, სახვაძე, ზიგოშვილი**
**მსაჯი: გ. ხილაგაძე (თბილისი)**

**ლაშა გოდუაძე**

თავიდანვე სათქმელი ის გახლავთ, რომ შეხვედრის მეტი წილი უსახური გამოდგა. მასპინძლებს, ცხადია, მოგება სურდათ და საამისოდ არაფერს იშურებდნენ, მაგრამ გაუაზრებელი შეტევების ჩაშლა რუსთაველებს სულაც არ უჭირდათ, ის კი არა, საკმარისი იყო სტუმრებს ბურთი მოეგოთ, რომ მასპინძელთა მცველებს საქმე უჩნდებოდათ. პირველ ტაიმში მეტოქეებმა თითოჯერ უჩხვლიტეს ერთმანეთს. ჯერ თბილისელთა კომბინაცია დააგვირგვინა დარტყმით მათ შორის ყველაზე აქტიურმა ჩუხუამ, თუმცა იმ დღეს ბრწყინვალედ მოთამაშე ქორიძეს ვერ აჯობა. 35-ე წუთზე რუსთაველებმა პირველ ტაიმში ყველაზე საინტერესო შეტევა განახორციელეს — მელაძემ არსოშვილს გაუთამაშა, ამან მარცხენა ფლანგზე ფაცურია მოძებნა, „გორდას" ახალწვეულმა მიშველიძეს მიანდო დამაგვირგვინებელი დარტყმა: ფორვარდის გატყორცნილმა სახიფათოდ ჩაუქროლა ბათიაშვილის კარს. ტაიმის ბოლოს თსუელებმა ზედიზედ სამჯერ შეუტიეს, მაგრამ სახიფათო მომენტი მაინც ვერ შექმნეს. შესვენების შემდეგ თამაში შედარებით გამოცოცხლდა. მთელი 45 წუთი ბათიაშვილს საქმე არ გამოსჩენია. ეს მასპინძელთა მცველების კი არა, უფრო რუსთაველთა დამსახურებაა, რომლებიც ბურთის მიღებისთანავე მის რაც შეიძლება შორს მოგერიებას ცდილობდნენ, შეტევაზე კი რატომღაც არ ფიქრობდნენ. ასეთი თამაში, რაღა თქმა უნდა, მასპინძელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. ტაიმის შუაში რუსთაველებმა მოთამაშე შეცვალეს, თუმცა ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათ თამაშზე. მასპინძელთა უპირატესობა თანდათან იზრდებოდა, რასაც არ შეიძლება, შედეგი არ მოჰყოლოდა. 68-ე და 71-ე წუთებზე ბრწყინვალედ ითამაშა რუსთაველთა მეკარემ, რომელმაც მასთან პირისპირ გასულ მელქაძეს და ჩუხუას არ გაატანინა. ორ წუთში ელგუჯა სილაგავამ პენალტიც დანიშნა — სტუმრებმა ჩუხუას რეიდი აკრძალული ხერხით შეაჩერეს, დარტყმა დაზარალებულმა ითავა, მეკარეც მოატყუა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. მასპინძლებმა აცილებული პენალტი არად ჩააგდეს, და უფრო გაცხარებით შეუტიეს. „გორდაში" დაბრუნებულ მამუკა ქორიძეს ზედიზედ უხდებოდა თბილისელთა შეტევების მოგერიება. რომ არა მეკარე, რუსთაველები ბოლო ათ წუთში სასტიკად დამარცხდებოდნენ. მასპინძლები გოლის გაუტანლობამ აანერვიულა. როგორი საქმეა — აცილებული პენალტის მერე ბურთი სამჯერ მოარტყეს ძელს. ბოლო წუთებზე სტუმართა მწვრთნელმა ორი მოთამაშეც შეცვალა, თუმცა ამათი გამოყვანის მიზანი თამაშში გარდატეხის შეტანა კი არა, უფრო დროის გაყვანა იყო. ასე იყო თუ ისე, „გორდას" ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და რუსთაველებმა თსუელებს ერთი ქულა დასტყუეს.



ჯუბა ჩუხუას მამუკა ქორიძემ ისევ დაასწრო

# ხუთივე გოლი ტორპედოზე

**იბერია 1:4 ტორპედო**

**ხაშური. სტადიონი: გივი ჯომართიძე**
**იბერია: აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, გ. ლომიძე (ქაქუა 46), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ზადუნელი, გლუნჩაძე (ზირაქაძე 56), ნოვნიაძე, თორია**
**ტორპედო: კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, მაღლაკელიძე, ჯინჭარაძე (შენგელია 88), მარლიშვილი, ქებაძე, მ. მეგრელაძე (მეტრეველი 70), აშვეთია (გ. მეგრელაძე 87), ვაჩიბერაძე**
**1:0 თურმანიძე (8 საკ. კარში), 1:1 ჯინჭარაძე (32), 1:2, 1:3 აშვეთია (47, 86), 1:4 მეტრეველი (88)**
**გაფრთხილება: აშვეთია, ზ. ლაცაბიძე, ჯინჭარაძე, თორია, თურმანიძე, ხვადაგიანი**
**მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)**

**ვახტანგ ბზიკაძე ხაშურიდან**

საკონტროლო მატჩებში დაუმარცხებლის იმიჯმა „იბერიას" თავდაჯერება შემატა და უსაზღვროდ დაბნეულ, ნერვიულად მტოკავ „ტორპედოს" ისე ეკვეთა, იფიქრებდი, თამაშს მშვიდობიანად დამთავრება არ უწერიაო.

თავიდან სტუმრებმაც არაფერი დათმეს, თორიას შეტევა რომ მოიგერიეს, მარლიშვილმა გრძელი და ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ ქებაძე გაიყვანა — ორი ლევანის დუელი აბაშიძის გამარჯვებით დასრულდა. ინიციატივა თითქოს სტუმრებმა იხელთეს, რაკი მომდევნო სახიფათო მომენტიც ვაჩიბერაძემ მეგრელაძის ჩაწოდება თავით რომ ააცილა, მათი იყო. გოლი უკვე მწიფდებოდა, გავიდა კიდეც, მაგრამ სტუმართა კარში. ხუმრობით თუ ვიტყვით, ქუთაისელებს შეუძლიათ დაიკვეხნონ, ხუთივე გოლი ჩვენ გავიტანეთო — პირველი და ხაშურელთათვის ბოლო მათ კარში გურამ ლომიძის მიერ ჩაწოდებული ჯარიმიდან თურმანიძემ ისე ლამაზად ჩაჭრა საკუთარ კარში, უსინდისობა იქნებოდა, საუკეთესო ავტოგოლად არ ეცნოთ.

მეორე გოლიც, სტუმრებმა ანგარიში რომ გაათანაბრეს, მასპინძელთა უკანახაზელის, ნეკერაშვილის ჩარევით გავიდა. თუმცა, ამჯერად მას ბურთი მხოლოდ შეეხო და მიმართულების უცვლელად კარში შევარდა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მასპინძლებმა ფარ-ხმალი დაჰყარეს და წინააღმდეგობა მოადუნეს. რაკი ტაიმის ბოლომდე ფრე შენარჩუნდა, ლაცაბიძემ ერთი შეცვლა შესვენებაზევე გამოიყენა, მეორე კი, იძულებითი — თამაშის განახლებისთანავე. ამ შეცვლებით იოლი მისახვედრი გახლდათ, რომ „იბერია" ფრეს ებღაუჭებოდა, მაგრამ „ტორპედომ" მეორე ტაიმში მშვენივრად ითამაშა და პირველად გაიმარჯვა სტუმრად დიდი ანგარიშით.

ფრუიძეს სამარქაფონი თავიდანვე არ დაუხმარია, რადგან სჯეროდა, მისი გუნდი უამისოდაცააწყობდა თამაშს. ასეც მოხდა — თამაში მანამდე მოიგო, ვიდრე მინდორზე მეტრეველს გამოიყვანდა.

შაბათს „ტორპედოში" ერთბაშად შვიდმა ახალწვეულმა ითამაშა და მათგან დებიუტი მხოლოდ შეცვლაზე შესულმა მეტრეველმა აღნიშნა გოლით. სლავამ ერთი საგოლე პასიც გააკეთა, რითაც აშვეთიამ თავისი მეორე გოლი მშვიდად გაიტანა. შალვა ხუჯაძესა და მარლიშვილსაც შეეძლოთ შორეული დარტყმებით გატანა, მაგრამ პირველს რამდენჯერმე აბაშიძემ შეუშალა ხელი, მეორეს კი — „იბერიის" კარის ჯვარედინმა და ხარიხამ.

არბიტრმა მალალურაძემ ბევრი ყვითელი დაარიგა, ხაშურლებმა კი პრიზები. ყავის სასმელი ფინჯან-ლამბაქები დუბლის ავტორ აშვეთიასა და მეკარე აბაშიძეს ხვდათ. ამ უკანასკნელს პრიზმა ხასიათი ვერ გამოუკეთა — დამცინებენ, 4 გოლი თუ გაუშვა, პრიზი როგორღა გერგოო.

თამაშს რევაზ ძოძუაშვილიც ესწრებოდა. ალბათ, სანაკრებო კანდიდატთა შესარჩევად.

# როცა ქულაც უხარიათ

**სიონი 0:0 დილა**

**ბოლნისი. სტადიონი: თემურ სტეფანია**
**სიონი: ჩლაიძე, გ. ჩომახიძე (ყიფშიძე 40), ყაველაშვილი, მეფარიშვილი, შაკიაშვილი, გ. ქანტურია (ვ. საშხარაძე 74), ტარტარაშვილი, ა. ქანტურია, გოგოლაძე, ჯაგიდნიძე, მოსეშვილი**
**დილა: ვოლკოვი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ს. გაგნიძე, მარჯხაშვილი (ტაბატაძე 87), მჭედლიშვილი, რევაზიშვილი, კაიდარაშვილი, ზვ. ხორგუაშვილი (ნკრიალაშვილი 54)**
**გაფრთხილება: ჯაგიდნიძე, რევაზიშვილი**
**მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)**

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

ორივე გუნდს პირველი ჯგუფის დატოვების უსიამოვნო პერსპექტივა შეექმნა. გორელები შედარებით უკეთეს ადგილზე კი იმყოფებიან, მაგრამ მათ შემადგენლობასა და ფინანსურ-მატერიალურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, სავსებით შესაძლოა, გაისად მეორე ჯგუფში ვიხილოთ. თუმცა, როგორც მატჩის შემდეგ გორელებმა თქვეს, უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება, მდგომარეობას გამოსწორების პირი უჩანს და იმედოვნებენ, რომ ქალაქის ხელმძღვანელობის მონდომებით სავარჯიშო თუ სხვა პირობები გამოუსწორდებათ. ბოლნისურმა მატჩმაც დაგვიდასტურა, რომ „დილა" მართლაც უკეთესობის გზას დასდგომია და „სიონთან" მოპოვებული ქულა დიდად წაადგება სამომავლოდ. რაც შეეხებათ მასპინძლებს, შეიძლება ცოტა გადაჭარბებულიცაა, მაგრამ ფაქტია — იმ თამაშით, შაბათს რომ გვაჩვენეს, პირველ ჯგუფში კი არა, იქნებ მეორეშიც გაუჭირდეთ ადგილის შენარჩუნება. ყოველ შემთხვევაში, „დილასთან" მატჩმა ეს გვაფიქრებინა. ბოლნისელებს ვერც მცირერიცხოვან ქომაგთა მხარდაჭერამ მოაგებინა და ვერც ქაოსურმა შეტევებმა. გორელები კი პირიქით, საკმაოდ ჭკვიანურად, გაურისკავად მოქმედებდნენ, როგორც სტუმრებს სჩვევიათ, უმთავრესად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და სწრაფი კონტრშეტევებით აწიოკებდნენ მასპინძლებს, თუმცა აშკარად ჩანდა, ტექნიკური მომზადების მხრივ სათანადოდ ვერ იყვნენ. „სიონი" ისე უნდილად იცავდა თავს, ნებისმიერი ოდნავ ტექნიკური გუნდიც კი მინიმუმ ოთხ გოლს გაიტანდა ჩლაიძის კარში, მაგრამ ბოლნისელთა გასახარად, ამჯერად ასე არ მოხდა. გორელთაგან ერთადერთის — რევაზიშვილის გამორჩევა თუ შეიძლებოდა, რომელიც გამუდმებით მოძრაობდა და ბევრ თავსატეხს უჩენდა „სიონის" მცველებს. თუ პარტნიორებმა მისი აქტიურობით ვერ ისარგებლეს, ეს უპირველესად მათივე ბრალია, თორემ მასპინძლებმა ხელი ბევრი ვერაფრით შეუშალეს. მოკლედ, როგორც „სიონისთვის", ისე „დილასთვის" ეს მატჩი კარგი გაკვეთილი იქნება. ბოლნისელებმა დაცვის გაძლიერებაზე უნდა იფიქრონ, სტუმრებმა კი თავდასხმას უნდა მიხედონ, თორემ ასე შორს ვერ წავლენ. თუმცა, „სიონის" წინახაზელებიც საკმაოდ პასიურობდნენ, აკი ვთქვით უკვე, რომ მათი შეტევების ქაოსურობას ბოლო არ უჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სტუმართა მცველების შეცდომას ელოდნენ, მაგრამ „დილას" მცველები საიმედოდ თამაშობდნენ, თუმცა ერთხელ მათაც შეეშალათ და რომ არა ვოლკოვის ბრწყინვალე რეაქცია, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

მატჩის შემდეგ „დილას" მთავარი მწვრთნელი სოსო ვაშაკიძე კარგ ხასიათზე კი იყო, მაგრამ თავისი ფეხბურთელებისგან თურმე მეტს ელოდა — ბოლნისში მოპოვებული ქულა ჰაერივით გვჭირდებოდა და ამის შემდეგ უფრო მეტად გულმოცემულები გავალთ მინდორზეო — თქვა გორელთა თავკაცმა.



ნეკერაშვილი (მარჯვნივ) ხელს უშლის ვაჩიბერაძეს

# თელავშიც იგივე იქნებოდა

**კახეთი 1:3 კოლხეთი**

**ყვარელი. სტადიონი: ცენტრალური**
**კახეთი: ასლანიძე, ე. ალადაშვილი, ჯოჯუა, წიკლაური, ბოქორიშვილი (ტურულაშვილი 46), ტოკლიკიშვილი, მაზანაშვილი, ჯაშიაშვილი, შონია, ბაბულაიძე, ლევინიაშვილი (მეხხიძე 62)**
**კოლხეთი: მ. გვახალია, მიქაბერიძე, ტურჩინაძე, გიორგაძე, გოროზია, აბაშუკლი (თბილაშვილი 85), ინიაშვილი, დ. მახარაძე, სოლოლაშვილი, დარახელია, ღლონტი**
**0:1 მიქაბერიძე (26), 0:2 მახარაძე (64), 1:2 მეხხიძე (76), 1:3 მიქაბერიძე (86)**
**გაფრთხილება: წიკლაური, სოლოლაშვილი**
**მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)**

**მამუკა ქვანტალიანი ყვარლიდან**

თელაველებმა სტუმრებს ყვარელში უმასპინძლეს, ასე რომ, მატჩი, ფაქტობრივად, ნეიტრალურ მინდორზე გაიმართა. ასე იმიტომ მოხდა, რომ კახელებმა მაინცდამაინც საფეხბურთო სეზონის კვირაძალს მოიწადინეს საკუთარ სტადიონზე მიწის შეტანა და სასუქის მოყრა. ყვარელში თამაშის მიუხედავად „კახეთს" მაყურებელთა მხარდაჭერა არ მოჰკლებია, მაგრამ თელაველებს შინაც რომ ეთამაშათ, მგონია, მაინც წააგებდნენ. იქნებ მავანმა იკითხოს, რატომო, და პასუხად ეს მაქვს: „კოლხეთის" სათამაშო კლასი უფრო მაღალია და იმიტომ. კიდევ იმიტომ, რომ ფოთელებს ძუკუდ წოდებული გიორგი დარასელია ჰყავდათ, მისი დარი მოთამაშე კი იმ დღეს მინდორზე სხვა არავინ იყო. ფოთელებმა მასპინძელთა მონდომებას, გამარჯვებისკენ ლტოლვას და თავგანწირვას კომბინაციური და გააზრებული თამაში დაუპირისპირეს, რითაც მეტოქე ერთგვარად მოქანცეს. სტუმრებმა სამივე გოლი თელაველთა დაცვის და მეკარის ისეთი შეცდომების შემდეგ გაიტანეს, ელემენტარული რომ ეთქმოდა.

მსაჯის სასტვენი და ხელჩართული ბრძოლის გაჩაღება ერთი იყო. მეტოქენი უხეშობდნენ და ამ მხრივ მასპინძელი შონია გამოირჩეოდა. ერთხელ მან ჯერ აბაშუკელს, წამის მერე კი ღლონტს კინაღამ ფეხები დაატოვებინა მინდორზე. ვალში არც სტუმრები დარჩენილან. კიდევ კარგი, გუნთაძემ ყვითელი ბარათი დროულად ააფრიალა, თორემ ესენი ერთმანეთს დახოცავდნენ. თავიდან თელაველებმა გაიბრძოლეს, მერე კი სტუმრებმა იძალეს და საწადელსაც მიაღწიეს: ბურთი თელაველთა საჯარიმოსკენ გაგზავნეს, იქ წიკლაური და ასლანაძე ვერ შეთანხმდნენ და მცველმა ბურთი უშნოდ მოიგერია, მოგერიებული დარასელიამ შეიშნოვა და ხელსაყრელი პოზიციიდან კარშიც დაარტყა, აქ უკვე ასლანაძემ მოიგერია, მაგრამ ბურთს მიქაბერიძემ მიუსწრო და ბადეშიც ააფართხალა. მასპინძლები პირველ ნახევარში გრძელ გადაცემებს ამჯობინებდნენ, რომელნიც საბოლოოდ ფოთელი მცველებისა და მეკარის იოლი ლუკმა ხდებოდა. დარასელია ბევრს მუშაობდა და დახვეწილი პასებით თანაგუნდელებს ხელსაყრელ სიტუაციებს უქმნიდა. პირველი ნახევარი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა და შესვენებაზე ჯონი ჯანელიძემ შეგირდები შეაფუცხუნა, დამოძღვრა და მათაც მეორე ტაიმი რიხით დაიწყეს. ფოთელებმა კონტრიერიშები ირჩიეს და მოგებულებიც დარჩნენ. დრო გადიოდა, თელაველები ანგარიშის გაქვითვას ლამობდნენ, ერთობაც ირჯებოდნენ, მაგრამ გოლი თავად მიიღეს. სტუმრები ელოდნენ მეტოქის შეცდომას და ასლანიძემ ძლევნიც მიართვა. ყველამ იცის, თელაველთა ახალგაზრდა გოლკიპერი ხაზზე ყოჩაღი კია, მაგრამ ტანმაღლობის მიუხედავად გამოსვლებზე თამაში უჭირს და ვერც ფეხით ბურთის ამოტანა ეხერხება. ვინ ვინ და, მისმა თანაგუნდელებმა ეს კარგად უნდა უწყოდნენ, ამათ კი მაინც არ მოისვენეს და ყოველ საჭოჭმანო სიტუაციაში ბურთს მეკარეს უგორებდნენ. და როცა 64-ე წუთზე ჯაშიაშვილმა კვლავ დაუბრუნა, ვერ ივარგა და სუსტად დარტყმული ბურთი მახარაძის ლუკმა გახდა —0:2. სტუმრებმა ინერციით კიდევ სამი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ სამჯერვე ასლანაძემ ივარგა. უპირატესობამ ფოთელები დაამშვიდა და აკი იყო 15-წუთიანი მონაკვეთი, თელაველებმა რომ აწყვიტეს. ჯერ მასპინძელთა ახალწვეული ტოკლიკიშვილი გავიდა გვასალიასთან პირისპირ, მაგრამ ბურთს უხეიროდ მოეპყრო და მეკარეს ამარჯვებინა. მერე კი შეცვლაზე შესულმა მესხიძემ სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ერთი ბურთი გაქვითა. ამას ისევ მასპინძელთა იერიშები მოჰყვა: ბაბულაიძემ მარცხნიდან საჯარიმოს მისადგომებისკენ დააგორა, მაზანაშვილმა კი შეუჩერებლივ დაარტყა და ბურთმა კინაღამ ხარიხა მოარღვია. მასპინძლები თითქოს გონს მოეგნენ, მაგრამ დარასელიამ ისევ გამოიღო ხელი: მისი გარღვევა მცველებმა უხეშობით აღკვეთეს, სტუმრებმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშეს, ძუკუმ ბურთი სოლოლაშვილს გაატანა, ამან, საჯარიმოში შეჭრილმა, მიქაბერიძე მოძებნა, „ტურამ" კი იხეირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამგურალი 0:1 დინამო

წყალტუბო. სტადიონი: 26 მაისი

**სამგურალი:** ქვაჩახია, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, კოლუაშვილი, გოგელიძე, ძაგნიძე, გოჩა კვარაცხელია, ფუტკვენიძე (უშვერიძე 55), დ. ჯანელიძე, თევდორაძე, ჯანაშია (ხურცილავა 73)

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, დ. მუჯირი (დავითნიძე 70), დიდავა, ჩიქავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილი, კერძევაძე, ხომერიკი, დემეტრაძე

0:1 ცქიტიშვილი (47)

**გაფრთხილება:** კოლუაშვილი, გოგიჩაიშვილი, კალაძე

**მსაჯი:** გ. ახკაროლლი (ქარელი)

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

# 0:6-ზე უკეთ, 6:0-ზე უარესად

ძნელი წარმოსადგენი იყო, ჩემპიონატის ლიდერს ამ შეხვედრაში რაიმე პრობლემა შექმნოდა. მითუმეტეს, პირველ წრეში 6:0 მოიგო. ჰოდა, თამაშიც დინამოელთა სწრაფი და ხშირი იერიშებით დაიწყო. ისინი ხან ცენტრიდან, ხანაც ფლანგებიდან ცდილობდნენ მეტოქის საჯარიმოში შეჭრას. მეშვიდე წუთზე თბილისელებმა ეფექტურად გაითამაშეს საჯარიმო, რასაც ცქიტიშვილის ძლიერი დარტყმა მოჰყვა. ქვაჩახიამ გაჭირვებით მოიგერია ბურთი. წუთიც არ გასულიყო, ახლა ხომერიკი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში და დაახლოებით თექვსმეტი მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ააცილა. მასპინძლებს სულ უფრო უჭირდათ დინამოელთა შეტევების გამკლავება, გოლიც თითქოს გარდუვალი ჩანდა, „სამგურალი" კონტრშეტევების იმედადღა იყო და რამდენიმე სახიფათო იერიში განახორციელა კიდეც. 30-ე წუთზე თევდორაძე შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და სახიფათოდაც დაარტყა. ამით მასპინძლებმა გვაგრძნობინეს, რომ სულაც არ აპირებდნენ მხოლოდ დაცვაში დაკეტვას და თანდათან გაათანაბრეს კიდეც თამაში. მალე კვარაცხელიამ გამოზომილი, გრძელი პასით გარღვევაზე გაიყვანა ჯანელიძე, თუმცა მისი დარტყმული საკმაოდ ასცდა ზოიძის კარს. შესვენებამდე მეტოქეებმა კიდევ რამდენჯერმე შეუტიეს ერთურთს, მაგრამ ვერცერთმა იხეირა. მატჩი ორი წუთის განახლებული გახლდათ, როცა წყალტუბოელებმა თამაშის წესი დაარღვიეს. საჯარიმო გოგიჩაიშვილმა შეასრულა, მის დარტყმულ ბურთს ცქიტიშვილი დახვდა და აუღელვებლად გახსნა ანგარიში. დარჩენილ დროში უპირატესობას დინამოელები კი ფლობდნენ, მაგრამ ქვაჩახიას კარს რეალურად არ დამუქრებიან. მასპინძლებმა კი მთელი ძალა კარის უსაფრთხოებას შეალიეს და ანგარიშის გათანაბრებაზე ფიქრის დრო აღარც დარჩენიათ.

## ოდიში 1:3 ბათუმი

ზუგდიდი. სტადიონი: ცენტრალური

**ოდიში:** აბუსერიძე, კვიტატიანი, გუჩუა, ჭედია, მიქაძე, ბარქაია (კუტალია 16), ახვლედიანი, გაბედავა, ნიტიაშვილი, ფანცულაია, კალანდაძე

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიქინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი

0:1 თორლაშვილი (13), 1:1 გუჩუა (33), 1:2 ტულუში (72), 1:3 უჯმაჯურიძე (83 პ)

**გაფრთხილება:** გუჩუა

**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (თბილისი)

**რომან გაბისონია ზუგდიდიდან**

# ბათუმს თავი ქუდში აქვს

თეატრი გარდერობიდან იწყება, საფეხბურთო ჩემპიონატი კი მეორე წრიდან შედის ეშხში. პირველ წრეს გუნდები, ცხადია, მეტ-ნაკლები წარმატებით, დაკომპლექტებასა და თამაშის გაშალაშინებას ანდომებენ, მეორეში კი წინა პლანზე სატურნირო სტრატეგია გამოდის და მანამდე მიღწეულის რეალიზაციას ცდილობენ — აქ მთავარი ქულებია (სანახაობრიობასაც თუ შემატებენ, უკეთესია).

ბათუმელებმა ზუგდიდელებთან შედარებით უკეთ გამოიყენეს ზამთრის არდადეგები, „ოდიშმა" კი მიზეზთა გამო ვერ მოახერხა ხურცილავას მიერ დასახული გეგმის სრულად განხორციელება. ამასთანავე ქულათა სოლიდური მარაგი ბათუმელებს უფრო მშვიდი, ლაღი თამაშის საშუალებას აძლევდათ. თუ ქვეყანა არ დაიქცა, მათ უკვე განაღდებული აქვთ ევროპის საგზური, ზუგდიდელები კი ჯერ კიდევ უნდა დამკვიდრდნენ ჩვენს საფეხბურთო ელიტაში...

თამაში მწვავედ დაიწყო. მე-11 წუთზე ტოგონიძემ უეჭველი გოლისგან იხსნა გუნდი -- წიტაიშვილის თაური მოიგერია. მე-13 წუთზე კი სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. მუჯირმა მშვენიერი პასით საჯარიმოს კუთხესთან ჩასაფრებული თორლაშვილი მოძებნა. მისი ყუმბარისებური დარტყმა პრაქტიკულად აუღებელი იყო — 0:1.

გოლს მასპინძლები არ დაუბნევია. პირიქით, გულშემატკივართაგან გამხნევებულებმა მეტი შემართებით შეუტიეს და ორ წუთში ტოგონიძე გაბედავას მიერ შორეულ ცხრიანში დარტყმულს იგერიებს. იმავ წუთს კიდევ ერთი სლალომი, დარტყმა ცაციათი — ტოგონიძე კვლავ ადგილზეა. ბათუმელები სწრაფი კონტრშეტევებით იკბინებოდნენ. ნახევარმცველები გამუდმებით ამარაგებდნენ სწრაფ თავდამსხმელებს და ისინიც წარამარა აწუხებდნენ მეტოქე მცველებს. განსაკუთრებით ტულუში გამოირჩეოდა. მაგრამ სტუმართა შეტევები ძირითადად საჯარიმოს მისადგომებთან მთავრდებოდა. „ოდიში" კი უფრო და უფრო აძლიერებდა ზეწოლას და 34-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა: ფანცულაიამ მარჯვენიდან თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ჩააწოდა ჯარიმა, იქ კი გუჩუამ შეყილაძესა და მალხაზ მახარაძესთან ბრძოლაში ძლიერად დაჰკრა ბურთს თავი — 1:1. ეს იყო ტოგონიძისა და ცენტრალური მცველების პირველი და უკანასკნელი შეცდომა. ტაიმის დანარჩენი დრო უფრო მშვიდი გამოდგა, და მეორე ტაიმიც ასევე დაიწყო. გუნდები უფრო იმას ცდილობდნენ, არ შემცდარიყვნენ, რაც სტუმრებს უფრო აძლევდათ ხელს. თუმცა, მალე კვლავ დაიწყო ბათუმელთა კარის შტურმი — აქტიურობდნენ გაბედავა, გუჩუა, ხშირად ერთვებოდნენ შეტევებში მიქაძე და ჭედია... არავის გაკვირვებია ფანცულაიას გონივრული თამაში — ეს არახალია ამბავია. მე-60 წუთზე იგი კარგად უგორებს ახვლედიანს, რომლის უძლიერესი დარტყმას ტოგონიძემ იგერიებს. ორიოდ წუთში გაბედავას ძლიერ, მოჭრილ დარტყმას ხარიხა დახვდა. უმალვე ფანცულაიამ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მკერდზე მიიღო, მისკენ გამოქცეულ მცველს თავზე გადაუგდო და მიწაზე დაუგდებლად უძლიერესი დარტყმით კვლავ ხარიხა შეაზანზარა... ამას მოჰყვა გუჩუას, გაბედავას, მიქაძის ერთობ სახიფათო დარტყმები, რომელთაც ტოგონიძე საოცარი რეაქციის წყალობით იგერიებდა. რომ იტყვიან, გოლი მწიფდებოდა და გავიდა კიდეც... ოღონდ ისევ ოდიშელთა კარში, რამაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა — მასპინძელთა მეკარემ მცველისაგან მიიღო ბურთი და შეეცადა აუტში გადაეგდო, რადგან მეტოქე უახლოვდებოდა, მაგრამ ეს მეტად უხეიროდ გამოუვიდა — მოედნის კიდესთან ბურთი მიიღო უჯმაჯურიძემ, ერთი შეხებით გადააწოდა საჯარიმოში ეულად მყოფ ტულუშს და... 1:2. გულშემატკივრები კვლავ შეტევისკენ მოუწოდებდნენ ოდიშელებს, მაგრამ მათ ისევ გაეპარათ კონტრშეტევა, რომელსაც თერთმეტმეტრიანი მოჰყვა — 1:3. უჯმაჯურიძემ ამ ჩემპიონატში თავისი მე-14 გოლი გაიტანა.

# ჩიხრაძეს არც უშვებენ და არც ათამაშებენ

დონეცკის „შახტიორის" ქართველი მცველი გიორგი ჩიხრაძე ბოლო დროს შემადგენლობაში აღარ ჩანდა. ბუნებრივია, ამან ჩვენც დაგვაინტერესა — გიორგი ხომ საქართველოს ნაკრების წევრია. მიზეზი თავად გიორგის ვკითხეთ:

— მას შემდეგ, რაც „შახტიორის" ხელმძღვანელობას ვთხოვე, სხვა გუნდში გამიშვით-მეთქი, ჩემდამი დამოკიდებულება შეცვალეს და შემადგენლობაში აღარ მაყენებენ.

**— რამდენი ხანია, არ გითამაშია?**

— გუნდის ხელმძღვანელებს პირველი წრის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე ვესაუბრე. მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობა შეიცვალა. მართალია, ზამთარში „შახტიორს" შეკრებაზე გავყევი და საკონტროლო შეხვედრებიც ჩავატარე, მაგრამ განახლდა სეზონი, თასის ნახევარფინალებიც ჩატარდა და მე აღარ მათამაშებენ. ასე როდემდე გაგრძელდება, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია — აქ გამჩერებელი აღარ ვარ. ახლა კონტრაქტის დამთავრებას ველოდები. მას ივნისში გაუვა ვადა.

**— წასვლაში ხელს გიშლიან?**

— მქონდა რამდენიმე მიწვევა, მაგრამ დონეცკელებმა ისეთი თანხა მოითხოვეს, რომ ჩემით დაინტერესებულმა გუნდებმა მოლაპარაკება შეწყვიტეს.

**— ვერ დაგვისახელებ ამ გუნდებს?**

— ეს რუსული გუნდები იყო, მაგრამ მათ ვინაობას მე ვერ გეტყვით, მათთან მხოლოდ „შახტიორის" ხელმძღვანელობამ ისაუბრა. მე მხოლოდ ეს მითხრეს, შენით დაინტერესებულნი საჭირო თანხას ვერ იხდიანო. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, ამაზე საუბარი აღარც მსურს. არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

**— ესპანელები რომ გიწვევდნენ, ეს ვარიანტიც ჩაიშალა?**

— ეს შარშან, სეზონის ბოლოს იყო. „სანტანდერის" ხელმძღვანელებს დონეცკელებმა ჩემი თავი შესთავაზეს, მაგრამ მას შემდეგ ესპანელებმა სხვა მოთამაშე შეიძინეს და მეც, ბუნებრივია, ვეღარ გადავედი.

**— აბა, რას აპირებ, რომელ გუნდში გსურს გადასვლა ან გაქვს კი რეალური წინადადება?**

— ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია. ახლა მხოლოდ ვვარჯიშობ და ველოდები რეალურ ვარიანტს. რა გამოვა აქედან, ვერ გეტყვით. დონეცკლები ჩემში ისეთ თანხას ითხოვენ, მისი გადახდა ყველა გუნდს არ შეუძლია.

**— როგორც შევიტყვე, 150 ათას დოლარზეა საუბარი...**

— ზუსტად არ ვიცი. გუნდის უფროსები ამის შესახებ არაფერს მეუბნებიან. მხოლოდ ეს მითხრეს, დაგეხმარებით, გუნდს უეჭველად მოგიძებნითო. მეც ლოდინის მეტი რა დამრჩენია. უქმად კი ვერ ვძლებ...

**— ფოცხვერიაზე რას გვეტყვი, როგორ თამაშობს?**

— თითქმის ყველა შეხვედრაში გოლი გააქვს. კიევის ცეესკა-სთან სათასო შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი და ახლაც, ბოლო ტურში თავის ყოფილ გუნდს, ზაპოროჟიეს „მეტალურგს" ორი ბურთი გაუტანა. ადრე მასაც ჰქონდა ხელმძღვანელობასთან პრობლემები, მაგრამ კარგა ხანია შემადგენლობაში აყენებენ და მიშაც ათამაშდა.

**მერაბ გამულაშვილი**

## მაჭუტაძეს ექიმების არ სჯერა

სეზონი განახლდა, ბათუმელთა შემადგენლობაში კი კვლავ არ ჩანს პაატა მაჭუტაძე, რომელიც ორივე ფეხზე გაკეთებული მენისკის ოპერაციის შემდეგ კვლავ მუხლის ტკივილებმა შეაწუხა. პაატა გუნდს ტრაბზონის შეკრებაზე ახლდა, „სებასტოპოლთან" პირველ საკონტროლო შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა და ორი გოლიც გაიტანა, მაგრამ...

ახლა ექიმები მაჭუტაძეს ანუგეშებენ, საშიში არაფერიაო, მაგრამ თავად პაატა ეჭვობს, რომ ჯვარედინი იოგები აქვს დაზიანებული და მოსკოვში აპირებს სამკურნალოდ წასვლას.

## გაბისკირია არზამასშია

ბევრი იარა თუ ცოტა (უკრაინაში, რუსეთში თუ საბერძნეთში), იური გაბისკირია რუსეთის II ლიგის არზამასის „ტორპედოს" მიადგა. ახლა იური გუნდს სოჭში ახლავს შეკრებაზე და სეზონის გახსნას ელოდება. მანამდე კი ყოფილმა ცხუმელმა უკრაინის I ლიგის ერთ-ერთი ლიდერის დონეცკის „მეტალურგის" წინადადება უარყო.

# ოქროს კაპიტნის 60 წელი



კახი ასათიანი ქართულ ფეხბურთში ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს ნახევარმცველად ითვლება. წელს, 1 იანვარს 50 წლისა ისე გახდა, ახლობლების გარდა არავის გახსენებია. არც თავად ბატონ კახის მოუწადინებია იუბილეს გადახდა, მაგრამ როცა ჯერი სახელიან ვეტერანებზე მიდგება, აქ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე შეუვალია. სწორედ ის იყო თაოსანი 1990 წელს მიშა მესხის, მომდევნო წელს კი სლავა მეტრეველის საიუბილეო ზეიმებისა სპორტის სასახლეში. მაშინ ბატონი კახი ვეტერან ფეხბურთელთა ასოციაციას ხელმძღვანელობდა. არც სპორტის დეპარტამენტში გადასვლის მერე დავიწყნია უფროსი მეგობრები და წელი არ გავა, ვინმეს საიუბილეო საღამო არ მოაწყოს. წელს, 11 იანვარს მიშა მესხის სამოცი წლის იუბილეში დაიდო ლომის წილი, 15 მარტს კი „ოქროს კაპიტნის", შოთა იამანიძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს თანაავტორი გახდა თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობასთან ერთად. ეს საღამო „ბერიკონში" გაიმართა. დარბაზი სავსე იყო ვეტერანი ფეხბურთელებით, ძველი გულშემატკივრებით, აქ იყვნენ შოთა იამანიძის ოჯახის წევრებიც. სადღეგრძელოები, სიმღერები, მეგობრების გახსენება ჭაღარა ვეტერანებს იმ დღეებს ახსენებდა, როცა „ოქროს გუნდის" კაპიტანი მინდორზე საფეხბურთო სასწაულებს ახდენდა. პოლიტექნიკურმა უნივერსიტეტმა და ცნობილმა „დიუსელდორფელმა" დემიკო ლოლაძემ იამანიძის იუბილის აღსანიშნავად ლამაზი წიგნიც გამოსცეს, რომელიც საღამოს მონაწილეებს უფასოდ დაურიგდათ. სუფრას ძველი გულშემატკივარი ავთო საყვარელიძე თავკაცობდა. „დინამოს" მემატიანე კოსტია შანიძე ცრემლმორეული ბუტბუტებდა, დიდი შოთას თამაში მახსოვს და ღმერთმა ქნას, მისი 10 წლის შვილიშვილის თამაშსაც მოვესწრო „დინამოს" სტადიონზეო. პატარა შოთა მართლაც ძლიერ ჩამოჰგავს ბაბუას და თავისი კბილა ნორჩი დინამოელების ლიდერია.

ეტყობა, ჩვენში მართლაც სხვაგვარად უყვართ ფეხბურთი, თორემ ოდენ სტადიონზე გულშემატკივრობაში როგორ შეევედრებით ბრაზილიელებს, რომელთაც გარინჩა უპატრონოდ დაეღუპათ, მეზობელი რუსებიც გავიხსენოთ, რომელთა ვარსკვლავები კარიერის დამთავრების მერე ქუჩაში ულუკმაპუროდ რჩებოდნენ...

მოკლედ, მომგონები უცოცხლოს დიდხანს შოთა იამანიძეს.

**მამუკა კვარაცხელია**

## იაშკა ლიუბეკს მიათრევს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ოცდამეერთე ტურში იაშვილის „ლიუბეკმა" „შტუტგარტერ კიკერსს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ეს გოლი იაშვილის გარღვევას მოჰყვა: იაშკა მეტოქის მცველმა ზედ საჯარიმოს წინ მოცელა, მსაჯმა ჯარიმაც დანიშნა და დამნაშავეს წითელიც „აუნთო", ლიუბეკელებმა კი გოლიც გაიტანეს და მორიგი გამარჯვებაც მოიპოვეს. შტუტგარტელთა მწვრთნელმა იაშკას ორი მცველი შეუცვალა, მაგრამ ამაოდ. ახლა „ლიუბეკს" 20 ქულა აქვს, აქედან 7 წლევანდელ ოთხ ტურში, იაშკას მისვლის შემდეგ შეიმატა. თუკი ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, „ლიუბეკი" მეორე ბუნდესლიგას შერჩეს. 19 წლის ქართველმა ლეგიონერმა კი თითქმის უმაღლესი შეფასება — 2,5 ქულა მიიღო, გარდა ამისა ჟურნალისტებმა ოცდამეერთე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

## ტრაბზონსფორი თასის იმედადღა დარჩა





სენსაციურად დამთავრდა თურქეთის ოცდამეექვსე ტურის მატჩი ტრაბზონში, სადაც „ტრაბზონსფორი" „ისთანბულსფორს" მასპინძლობდა. შოთა არველაძის გოლს სტამბოლელმა საფეხბურთო ორით უპასუხა და „ტრაბზონს" ჩემპიონობისათვის ბრძოლის შანსი დააკარგვინა. ამ მატჩში არ უთამაშია ჯამარაულს. ახლა „ტრაბზონს" ძალების სრული მოკრება მოუწევს თურქეთის თასის ფინალში „ქოჯაელისფორის" წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ პირველი ფინალური მატჩი ზეგ, 19 მარტს გაიმართება ტრაბზონში.

## მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი

XXIV ტური

ლოკომოტივი — დინამო 2 0:0, დურუჯი — მორკინალი 0:2, 35 სტუ — ავაზა 1:1, თსუ 2 — კოდაკო 1:2, იბერია — მრეტები 4:0, არმაზი — ცხინვალი 1:3, აკადემია — თორი 3:1, ასკ — მესხეთი 3:1, სამგორი — ქინერი 5:2, შირაქი — ჭაბუკიანი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 22 | 19 | 3 | 0 | 56:6 | 60 |
| მორკინალი | 22 | 18 | 3 | 1 | 55:8 | 57 |
| ასკ | 22 | 15 | 1 | 6 | 44:28 | 46 |
| ცხინვალი | 21 | 15 | 0 | 6 | 41:22 | 45 |
| დინამო 2 | 22 | 13 | 5 | 4 | 70:18 | 44 |
| აკადემია | 22 | 12 | 4 | 6 | 54:23 | 40 |
| კოდაკო | 22 | 12 | 3 | 7 | 33:26 | 39 |
| არმაზი | 22 | 12 | 2 | 8 | 51:36 | 38 |
| შირაქი | 22 | 9 | 8 | 5 | 29:27 | 35 |
| იბერია | 22 | 10 | 1 | 11 | 32:31 | 31 |
| 35 სტუ | 22 | 7 | 8 | 7 | 39:29 | 29 |
| თორი | 22 | 8 | 3 | 11 | 19:41 | 27 |
| თსუ 2 | 21 | 7 | 1 | 13 | 23:44 | 22 |
| მრეტები | 22 | 5 | 7 | 10 | 27:35 | 22 |
| სამგორი | 22 | 6 | 3 | 13 | 28:50 | 16 |
| ქინერი | 22 | 6 | 3 | 13 | 33:72 | 16 |
| დურუჯი | 22 | 3 | 4 | 15 | 15:61 | 13 |
| ჭაბუკიანი | 22 | 2 | 6 | 13 | 17:34 | 12 |
| მესხეთი | 22 | 3 | 2 | 17 | 21:60 | 11 |
| ავაზა | 22 | 2 | 3 | 17 | 16:47 | 9 |

დასავლეთი

XVIII ტური

საპოვნელა — მეშახტე 0:0, სალხინო — მაღაროელი 0:1, ტორპედო 2 — კახაბერი 2:0, ბათუმი 2 — სულორი 1:1, სქური — იმერეთი 5:2, კოლხეთი 2 — ოდიში 2 1:0, ოლიმპია — ეგრისი 2:1, სამეგრელო — მერცხალი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 17 | 16 | 0 | 1 | 57:15 | 48 |
| მეშახტე | 17 | 15 | 1 | 1 | 38:12 | 46 |
| მერცხალი | 17 | 13 | 1 | 3 | 47:19 | 40 |
| ოლიმპია | 17 | 10 | 1 | 6 | 31:28 | 31 |
| იმერეთი | 17 | 9 | 2 | 6 | 36:26 | 29 |
| საპოვნელა | 17 | 7 | 6 | 4 | 34:29 | 27 |
| სალხინო | 17 | 8 | 1 | 8 | 29:27 | 25 |
| სამეგრელო | 17 | 6 | 5 | 6 | 34:31 | 23 |
| კოლხეთი 2 | 17 | 8 | 2 | 7 | 27:15 | 21 |
| სქური | 17 | 5 | 4 | 8 | 23:26 | 19 |
| სულორი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:26 | 19 |
| მამისონი | 16 | 4 | 3 | 9 | 27:40 | 15 |
| ტორპედო 2 | 17 | 4 | 3 | 10 | 15:39 | 15 |
| ეგრისი | 17 | 4 | 5 | 8 | 18:27 | 12 |
| ბათუმი 2 | 17 | 3 | 3 | 11 | 15:31 | 12 |
| კახაბერი | 17 | 3 | 2 | 12 | 20:56 | 11 |
| ოდიში 2 | 17 | 1 | 3 | 13 | 7:28 | 6 |

## იტალია

XXIV ტური

**იუვენტუსი 3:0 რომა**

1:0 ვიერი (28), 2:0 ვიერი (44), 3:0 ამორუზო (85)

**მილანი 2:0 ფიორენტინა**

1:0 დესაი (61), 2:0 ალბერტინი (89)

**პარმა 1:0 ინტერი**

1:0 კიეზა (22)

**ბოლონია 2:1 ნაპოლი**

1:0 ანდერსონი (39), 1:1 ალტომარე (44), 2:1 კოლივანოვი (47პ)

**კალიარი 2:1 ვიჩენცა**

0:1 მენდესი (1), 1:1 მუცი (36), 2:1 ტოვალიერი (49)

**ლაციო 3:2 ატალანტა**

1:0 მირკოვიჩი (36 საკ.კარში), 2:0 ხოტილი (38 საკ.კარში), 2:1 ლენტინი (52), 2:2 მორფეო (93), 3:2 ბუზო (84)

**სამპდორია 3:0 რეჯანა**

1:0 მონტელა (5), 2:0 კარპარელი (8), 3:0 მონტელა (68პ)

**უდინეზე 2:1 პერუჯა**

0:1 ნერი (3), 1:1 ამოროსო (21), 2:1 ბელვეგი (76)

**ვერონა 0:0 პიაჩენცა**

ძნელია გამოყოფა, მაგრამ იტალიის პირველობის ბოლო ტურში მთავარი, ალბათ, მაინც პარმას „ტარდინის" სტადიონზე გამართული მატჩი იყო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ მეორე ადგილის მაძიებლები „პარმა" და „ინტერი". წლევანდელი ვიცე-ჩემპიონობა იტალიურ კლუბთათვის ჩემპიონთა თასის მომავალ გათამაშებაში მოხვედრას ნიშნავს და ამიტომაც ენიჭებოდა შეხვედრას დამატებითი მნიშვნელობა.

საინტერესო ფაქტია: „ინტერს" პარმაში თამაში არასდროს მოუგია. „პარმა" სერია A-ში 1990-91 წლების სეზონში გამოჩნდა და მილანელ „შავ-ლურჯებს" პირველად 91-ის მარტში უმასპინძლა. მას მერე მილანელთა ექვსი სტუმრობა „ტარდინის" სტადიონზე ორი ფრით და მასპინძელთა ოთხი გამარჯვებით დასრულდა. შაბათს მეშვიდე ცდამ ისევ „პარმას" წარმატება მოიტანა, რომლის სასარგებლოდ სხვა ფაქტების ჩამოთვლაც შეიძლებოდა, მაგრამ ერთით შემოვიფარგლოთ: ბოლო, ვინც „იუვენტუსის" დამარცხება შეძლო, სწორედ „პარმა" გახლდათ.

— მოედანზე გასამარჯვებლად გაველით — ამბობდა თამაშამდე „ინტერის" ნახევარმცველი ნიკოლა ბერტი, რომელიც ადრე „პარმაში" თამაშობდა და წარმოშობითაც იქაურია — პარმას შორიახლოს მდებარე პატარა ქალაქ სალსომაიორეში დაიბადა.

— მართალია „ინტერი" კარგი გუნდია და ახლა კარგ ფორმაშია, მაგრამ მათ მოგებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საშუალება გვეძლევა ვაჩვენოთ, როგორი გუნდი გავხდით — დაუპირისპირა მეტოქეს თავისი სიტყვა დინო ბაჯომ, რომელსაც თავგამოდება იმ საღამოს გაძვებად დაუჯდა — მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე პოლ ინსის წინააღმდეგ უხეშობა მეორე ყვითელ ბარათად ექცა.

მიუხედავად ამ გაძევებისა, „პარმამ" ბოლო თერთმეტ შეხვედრაში თავისი მეცხრე გამარჯვება მაინც გამოჭედა. თამაშის ერთადერთი გოლი 22-ე წუთზე ენრიკო კიეზამ გაიტანა, თუმცა მანამდე არგენტინელი ერნან კრესპო უფრო სახიფათოდ უტევდა. მე-17 წუთზე „ინტერის" ჩილელი თავდამსხმელი ივან სამორანო იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ მასპინძელთა 19 წლის გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონმა მისი თაური სხარტი რეაქციით მოიგერია. ამ ამბიდან ხუთ წუთში გოლიც გავიდა. იმ ეპიზოდში „ინტერის" მოთამაშეებს ეგონათ, ეგ არის, კუთხური მოვიგერიეთო, მაგრამ ბურთი ანტონიო ბენარივომ იგდო ხელთ და საჯარიმოში დააბრუნა, სადაც კიეზამ მარჯვენა ფეხით გააჩერა, მარცხენათი კი დაარტყა. ჯანლუკა პალიუკამ თავისი კარის მარჯვენა კუთხე ველარ დაიცვა.

„ინტერმა", პირველი ტაიმის უმეტეს დროს ბურთს რომ ფლობდა, ანგარიშის გასათანაბრებლად ძალა მოიკრიბა. ჯერ არგენტინელმა ხავიერ ძანეტიმ დაარტყა, მაგრამ უკუაგდეს, შემდეგ კი ფრანგმა იური ჯორკაეფმა „გაისრიალა" მასპინძელთა დაცვის მიღმა, თუმცა მისი დაბალი პასის კარში შესაგდებად ახლომახლოს პარტნიორი არ აღმოჩნდა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე „პარმამ" ორი ხიფათი შექმნა. ჯერ მორიგმა არგენტინელმა ნესტორ სენსინიმ გადააცილა ხარიხას, მერე კი კრესპოს პალიუკამ აუღო. გამოცდილ კოლეგას არც ბუფონი ჩამორჩა. მეორე ნახევარში მანაც მოიგერია ორი დარტყმა: თავიდან ინგლისელ პოლ ინსს არ გაატანინა, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი შვეიცარიელ ჩირიაკო სფორცას აუღო სასწაულებრივად.

და კიდევ ერთი: მილანელთა ინგლისელმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა, რომელიც მომავალი სეზონიდან სამშობლოში დაბრუნდება და „ბლეკბერნს" უხელმძღვანელებს, არ ათამაშა ჰოლანდიელი არონ ვინტერი. აქ ყურადღებამისაქცევი არაფერი იქნებოდა, რომ არა მწვრთნელის ნათქვამი:

— არა, კუჭის აშლის გამო არ დამისვენებია ვინტერი. ვცადე, „ოჯახური" საქმე არ გახმაურებულიყო, მაგრამ არ გამოვიდა. საქმე ის გახლდათ, რომ ვინტერმა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა იუკადრისა, ამიტომაც ტრიბუნაზე გადავსვი. ამგვარად მე იგი დასჯილი მყავდა. ახლა ინციდენტი ამოწურულია, ვინტერი გუნდში რჩება და სამშაბათს, უეფას თასზე, შესაძლოა ვათამაშო კიდეც.

იმავე დღეს ლიდერმა „იუვენტუსმა" „პარმასთან" ხუთქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. გუნდის მიერ დაწუნებულ „სტადიო დელე ალპიზე" 45 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა და უცქირა, როგორ სძლია მათმა ფავორიტმა „რომას". ტურინელებს კვლავ აკლდნენ ალესანდრო დელ პიერო და ალენ ბოკშიჩი. გამოიცვალა მხოლოდ მიზეზი: ბოკშიჩი ადრე ტრავმის გამო ვერ თამაშობდა, ახლა დისკვალიფიკაციის გამო ზის მაყურებელთა შორის. მიუხედავად თავდასხმის ლიდერთა არყოლისა, „იუვემ" საუცხოოდ ითამაშა და ამაში დიდი როლი კრისტიან ვიერიმ დაიდო. მან ორი გოლი შეაგდო. პირველი ნიკოლა ამორუზოს პასით შეასრულა — დაბალი დაარტყა, მეორე კი დელ პიეროს სტილში — „რომას" მეკარე ჩერვონეს გადაუგდო თავზე. მასპინძელთა მესამე გოლი თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ამორუზომ გაიტანა. ასისტენტობა შეცვლაზე შესულმა მიკელე პადოვანომ გაუწია, რომელმაც მანამდე ჩინებული შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

პრეს-კონფერენციაზე ტურინელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თქვა: — დიდებული მატჩი იყო, რომელმაც აჩვენა, რომ როდესაც ასე ვთამაშობთ, ამა თუ იმ ფეხბურთელის არყოლა დიდად არ გვეტყობა. „რომას" მსგავსი გუნდის დამარცხებით რეალური ნაბიჯი გადავდგით წინ. მიუხედავად ცუდი მოედნისა, ჩვენს ყველა მოქმედებაში რაღაც ახალი შეიმჩნეოდა. ვიერი და ამორუზოც აცნობიერებენ, რას ნიშნავს დიდ გუნდში თამაში და ჩინებულად ირჯებიან.

ლიდერთა სამეულში სატრიალოდ „სამპდორიამ" „რეჯანას" 3:0 მოუგო. ორი გოლი ვინჩენცო მონტელამ გაიტანა, ერთი მარკო კარპარელიმ. ასე დაასრულეს გენუელებმა ნავსიანი, სამმატჩიანი მოუგებელი სერია. წარმატებას საფუძველი 22 წლის მონტელამ დაუდო, მისი ზუსტი თაური კუთხურს მოჰყვა. სამ წუთში კარპარელიმ დაარტყა შედეგიანად და ყველაფერს ნათელი მოჰფინა, მეორე ტაიმის დამთავრებამდე 22 წუთით ადრე კი მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, რომლის დარტყმა ბომბარდირობისთვის მებრძოლმა მონტელამ ითავა და სწორადაც მოიქცა — თავის მეთვრამეტე თამაშში მეთექვსმეტე გოლი გაიტანა.

„სამპდორიაში" სხვა ამბებიც ხდება. ადრეც ვწერდით, რომ წინა მატჩში მსაჯის მიმართულებით ბურთის დარტყმისთვის (არ მოხვედრია) გენუის გუნდში მოთამაშე იუგოსლაველი სინიშა მიხაილოვიჩი ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ასეთი განაჩენის წინააღმდეგ საჯაროდ გაილაშქრა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ემილიანო სალვარეცამ, რომელსაც ასევე მიუსჯიან რამეს. ახლა გაირკვა, რომ დაისჯება გუნდის ფორვარდი რობერტო მანჩინიც. მას გაზეთებში განუცხადებია: „კეთილი, მსაჯმა ოქმში რაღაც ჩაწერა, მაგრამ ხალხმა ტელევიზიით ხომ ნახა, სინამდვილეში რაც მოხდა. იმედი მაქვს, ქომაგები წესრიგს არ დაარღვევენ, მაგრამ რაღაც რეაქცია ჩვენი მხრიდან აუცილებელია".

მილანში კი, როგორც იქნა, გაიხარა არიგო საკიმ. შავ-წითლებმა „ფიორენტინას" მოუგეს. მეორე ტაიმი გახურებული იყო, როდესაც ჩერნოგორიელმა გამთამაშებელმა დეიან სავიჩევიჩმა ფრანგ თანაგუნდელ მარსელ დესაის ჩააწოდა და ლონიერმა ზანგმა მძლავრი თაურით ანგარიში გახსნა. მეორე ზანგმა, ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ იმ დღეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე პენალტი მოინადირა. ნიშნულთან შეცვლაზე შესული დემეტრიო ალბერტინი მივიდა და გახარებულ საკის პრეს-კონფერენციაზე ათქმევინა: „დღეს სეზონში საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ. ყოველ შემთხვევაში, რაც მე „მილანს" ვწვრთნი, ასე კარგად არ გვითამაშია. ახლა შემიძლია განვაცხადო, რომ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი".

ოპტიმისტურად ისაუბრა კლუბის პრეზიდენტმა, იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, მილიონერმა მაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმაც:

— ჩვენ ისევ „მილანი" გავხდით. ეს ის „მილანია", რომლის ხილვაც გვსურს და იმედი მაქვს, რომ მომავალში წინწინ წავალთ. კლასი და სურვილი არ დაგვიკარგავს.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 13 | 9 | 2 | 34:15 | 48 |
| პარმა | 24 | 12 | 7 | 5 | 27:19 | 43 |
| სამპდორია | 24 | 11 | 6 | 7 | 46:34 | 39 |
| ინტერი | 24 | 9 | 11 | 4 | 33:24 | 38 |
| ბოლონია | 24 | 11 | 5 | 8 | 38:30 | 38 |
| ატალანტა | 24 | 9 | 8 | 7 | 35:30 | 35 |
| რომა | 24 | 9 | 8 | 7 | 37:33 | 35 |
| ვიჩენცა | 24 | 9 | 7 | 8 | 35:30 | 34 |
| ლაციო | 24 | 9 | 7 | 8 | 28:26 | 34 |
| მილანი | 24 | 9 | 6 | 9 | 32:28 | 33 |
| ფიორენტინა | 24 | 7 | 10 | 7 | 32:28 | 31 |
| უდინეზე | 24 | 8 | 7 | 9 | 32:34 | 31 |
| ნაპოლი | 24 | 7 | 10 | 7 | 28:32 | 31 |
| პიაჩენცა | 24 | 5 | 11 | 8 | 18:28 | 26 |
| კალიარი | 24 | 5 | 8 | 11 | 27:39 | 23 |
| პერუჯა | 24 | 6 | 5 | 13 | 29:44 | 23 |
| ვერონა | 24 | 4 | 6 | 14 | 30:50 | 18 |
| რეჯანა | 24 | 2 | 11 | 11 | 22:39 | 17 |



„ლაციომ" ანგარიში გახსნა: იგორ პროტი გახარებული კოცნის ბურთს

## საფრანგეთი

XXIX ტური

**მეცი 2:0 ლანსი**

1:0 ტუმბა (43), 2:0 ტუმბა (82)

**ბორდო 3:1 კაენი**

1:0 პაპენი (22), 1:1 ნე (33) 2:1 მიკუ (42), 3:1 ტოლო (64)

**ლიონი 2:1 გინგამი**

1:0 ბარდონი (13), 2:0 კაველია (53), 2:1 მორერა (84)

**ლე ავრი 1:0 პსჟ**

1:0 ბერტინი (76)

**ბასტია 2:2 მონპელიე**

0:1 სანჩესი (16), 1:1 მორო (77), 2:1 პერესი (87), 2:2 რუვიერი (88)

**მარსელი 0:1 სტრასბური**

0:1 ნუმა (51)

**ნიცა 1:2 ნანტი**

0:1 ნდორამი (3), 0:2 დაროშა (76), 1:2 დება (87)

**ოსერი 3:1 კანი**

1:0 ლამუში (35), 2:0 ლასლანდი (37), 2:1 კონვლო (76), 3:1 ლასლანდი (87)

**ლილი 2:0 ნანსი**

1:0 ბეკანოვიჩი (42პ), 2:0 ბანიაკი (75)

**რენი 0:3 მონაკო**

0:1 ლეგვინსკი (36), 0:2 ლეგვინსკი (46), 0:3 კოლინზი (67)

„პარი სენ ჟერმენს" მართლაც ცუდად აქვს საქმე. „ლე ავრთან" 0:1 წაგებამ პარიზელთა ბრაზილიელი მწვრთნელი რიკარდო უარეს მდგომარეობაში ჩააყენა, ზეგისათვის, თასების თასის მეოთხედფინალის განმეორებითი შეხვედრისათვის კი ფეხბურთელთა სულისკვეთება საეჭვო გახადა. შეგახსენებთ, რომ თასების თასზე „სენ ჟერმენი" ათენის აეკს ეპაექრება. პირველი საფრანგეთის დედაქალაქში 0:0 დასრულდა და ახლა ამ წყვილში ბევრი თემურ ქეცბაიას გუნდს მიიჩნევს ფავორიტად.

ჰავრში პარიზელებმა საშინლად ითამაშეს. შეტევაში ვერაფერი მოახერხეს, მასპინძლები კი თავს ისე იცავდნენ, როგორც პავლოვი სტალინგრადის იმ სახლს, ომის შემდეგ მისი სახელი რომ უწოდეს. რაც შეეხება საპირისპირო კართან ბრძოლას, აქ ორი ეპიზოდი მსაჯმა პენალტად შეაფასა. ორივეჯერ სტუმართა ზანგი მცველი ბრუნო ნგოტი გამოდგა დამნაშავე და ორივეჯერ მასპინძელთა ტედი ბერტინმა დაარტყა ნიშნულიდან. პირველი კარს ასცდა, ხოლო მეორე ზუსტი გახლდათ.

ამასობაში „ნანტმა" წაუგებელ შეხვედრათა მწკრივი ოცდაორამდე გაზარდა. ასეა ამ პროვინციული გუნდის საქმე: ფეხბურთელები ხშირად ეყიდებიან, მუდმივად კი მწვრთნელი ჟან-კლოდ სიუდო რჩება. დაიშლება „ნანტი", სიუდო ახალს შექმნის და ასე დაუსრულებლად. მიმდინარე სეზონის დასაწყისში არცულ გუნდს საქმეც არეული ჰქონდა, ერთი პირობა ცხრილის ბოლოშიც იყო, მაგრამ დახეთ სიუდოს...

ანგარიში იაფეტ ნდორამმა მესამე წუთზევე გახსნა. ეს ზანგის მე-16 გოლი გახლდათ ჩემპიონატში. მეორე გოლი ფრედერიკ და როშამ შეაგდო, დებას გვიანი პასუხი კი მხოლოდ ბურთების შეფარდებასღა ცვლის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 29 | 17 | 8 | 4 | 51:22 | 59 |
| პსჟ | 29 | 14 | 10 | 5 | 42:23 | 52 |
| სტრასბური | 29 | 16 | 2 | 11 | 41:37 | 50 |
| ბორდო | 29 | 13 | 10 | 6 | 47:31 | 49 |
| ბასტია | 28 | 14 | 7 | 7 | 40:31 | 49 |
| ნანტი | 29 | 12 | 12 | 5 | 50:27 | 48 |
| ოსერი | 29 | 12 | 10 | 7 | 35:22 | 46 |
| მეცი | 29 | 12 | 10 | 7 | 32:23 | 46 |
| ლიონი | 29 | 10 | 10 | 9 | 38:43 | 40 |
| მარსელი | 29 | 9 | 10 | 10 | 31:31 | 37 |
| გინგამი | 29 | 9 | 10 | 10 | 27:28 | 37 |
| მონპელიე | 29 | 7 | 13 | 9 | 26:29 | 34 |
| ლე ავრი | 29 | 8 | 10 | 11 | 26:32 | 34 |
| რენი | 29 | 9 | 6 | 14 | 30:41 | 33 |
| ლილი | 29 | 8 | 9 | 12 | 29:44 | 33 |
| კანი | 29 | 7 | 11 | 11 | 17:28 | 32 |
| ლანსი | 29 | 8 | 6 | 15 | 29:44 | 30 |
| კაენი | 28 | 5 | 10 | 13 | 24:36 | 25 |
| ნანსი | 29 | 6 | 7 | 16 | 23:38 | 25 |
| ნიცა | 29 | 4 | 7 | 18 | 23:51 | 19 |

**იყიდება**

რუსული ყოველკვირეული

„ფუტბოლის"

ყველა ნომერი — პირველიდან ბოლოს ჩათვლით.

ფასი შეთანხმებით

დარეკეთ: 22-58-43

იკითხეთ მამუკა

## პორტუგალია

23-ე ტური: [illegible] — [illegible]ში 3:4, ბრაგა — შავეში 3:0, გიმარაეში — ამადორა 3:1, [illegible] — [illegible] 3:4, [illegible] — სპორტინგი 1:2, ლეცა — ბოავიშტა 1:3, მარიტიმუ — ესპინიუ 1:0, რიუ ავე — ფარენსე 0:0, ბელენენსეში — სეტუბალი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 23 | 18 | 3 | 2 | 54:16 | 57 |
| სპორტინგი | 23 | 15 | 5 | 3 | 36:12 | 50 |
| ბენფიკა | 23 | 13 | 4 | 6 | 40:19 | 43 |
| ბრაგა | 23 | 11 | 7 | 5 | 32:31 | 40 |
| გიმარაეში | 23 | 11 | 5 | 7 | 38:28 | 38 |
| ამადორა | 23 | 8 | 8 | 7 | 27:25 | 32 |
| სალგეიროში | 23 | 8 | 8 | 7 | 31:34 | 32 |
| ბელენენსეში | 23 | 8 | 7 | 8 | 30:36 | 31 |
| შავეში | 23 | 8 | 6 | 9 | 28:37 | 30 |
| ბოავიშტა | 23 | 6 | 11 | 6 | 32:28 | 29 |
| სეტუბალი | 23 | 7 | 7 | 9 | 26:31 | 28 |
| ესპინიუ | 23 | 8 | 4 | 11 | 21:31 | 28 |
| ფარენსე | 23 | 6 | 9 | 8 | 19:22 | 27 |
| მარიტიმუ | 23 | 7 | 6 | 10 | 26:34 | 27 |
| ლეცა | 23 | 6 | 6 | 11 | 25:31 | 24 |
| ლეირია | 23 | 5 | 4 | 14 | 20:38 | 19 |
| რიუ ავე | 23 | 4 | 6 | 13 | 22:34 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 23 | 2 | 6 | 15 | 22:42 | 18 |

## საბერძნეთი

25-ე ტური: პანილიაკოსი — პანათინაიკოსი 2:1, ოლიმპიაკოსი — ედესაიკოსი 4:0, აეკი — პანახაიკი 2:0, აითნაიკოსი — ქსანტი 0:0, აპოლონი — კავალი 2:0, ვერია — იონიკოსი 1:1, ირაკლისი — ოფი 0:1, პაოკი — არისი 2:1, კალამატა — კასტორია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 25 | 19 | 4 | 2 | 46:10 | 61 |
| აეკი | 25 | 17 | 4 | 4 | 59:21 | 55 |
| პანათინაიკოსი | 25 | 16 | 3 | 6 | 44:16 | 51 |
| ოფი | 25 | 15 | 4 | 6 | 37:20 | 49 |
| პაოკი | 25 | 12 | 8 | 5 | 32:23 | 44 |
| კავალა | 25 | 13 | 4 | 8 | 31:23 | 43 |
| პანილიაკოსი | 25 | 11 | 5 | 9 | 34:31 | 38 |
| ვერია | 25 | 9 | 7 | 9 | 25:20 | 34 |
| იონიკოსი | 25 | 9 | 6 | 10 | 28:30 | 33 |
| პანახაიკი | 25 | 7 | 8 | 10 | 21:29 | 29 |
| ირაკლისი | 25 | 8 | 5 | 12 | 31:40 | 29 |
| კალამატა | 25 | 7 | 8 | 10 | 29:43 | 29 |
| აპოლონი | 25 | 8 | 4 | 13 | 27:35 | 28 |
| ქსანტი | 25 | 6 | 8 | 11 | 34:39 | 26 |
| ედესაიკოსი | 25 | 6 | 5 | 14 | 27:43 | 23 |
| ათინაიკოსი | 25 | 6 | 5 | 14 | 23:48 | 23 |
| არისი | 25 | 5 | 9 | 11 | 23:35 | 21 |
| კასტორია | 25 | 1 | 3 | 21 | 11:53 | 6 |

## თურქეთი

26-ე ტური: ანკარაგიუჯუ — სარიერი 1:0, ზეითუნბურნუ — გენჩლერბირლიგი 0:1, ანთალია — დარდანელი 1:0, ბურსა — ფენერბაჰჩე 0:1, ბეშიქთაში — დენიზლი 2:1, ვანსპორი — კოჯაელი 0:0, ტრაბზონსპორი — ისთანბული 1:2, ალთაი — გაზიანთეფი 2:2, გალათასარაი — სამსუნი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 26 | 18 | 6 | 2 | 67:23 | 60 |
| ბეშიქთაში | 26 | 17 | 7 | 2 | 64:17 | 58 |
| ფენერბაჰჩე | 26 | 17 | 6 | 3 | 52:16 | 57 |
| ტრაბზონი | 26 | 16 | 4 | 6 | 61:27 | 52 |
| ბურსა | 26 | 12 | 6 | 8 | 35:26 | 42 |
| გაზიანთეფი | 26 | 11 | 8 | 7 | 30:28 | 41 |
| ისთანბული | 26 | 11 | 6 | 9 | 36:30 | 39 |
| კოჯაელი | 26 | 10 | 9 | 7 | 28:22 | 39 |
| გენჩლერბირ. | 26 | 10 | 5 | 11 | 30:33 | 35 |
| ანთალია | 26 | 9 | 6 | 11 | 29:38 | 33 |
| სამსუნი | 26 | 8 | 8 | 10 | 31:39 | 32 |
| სარიერი | 26 | 8 | 6 | 12 | 35:41 | 30 |
| ალთაი | 26 | 7 | 9 | 10 | 25:43 | 30 |
| ანკარაგიუჯუ | 26 | 7 | 7 | 12 | 27:38 | 28 |
| დარდანელი | 26 | 6 | 6 | 14 | 24:46 | 24 |
| ვანსპორი | 26 | 4 | 7 | 15 | 18:41 | 19 |
| დენიზლი | 26 | 4 | 3 | 19 | 28:57 | 15 |
| ზეითუნბურნუ | 26 | 2 | 5 | 19 | 20:65 | 11 |

## შოტლანდია

30-ე ტური: აბერდინი — დანდი იუნაიტედი 1:1, ჰართსი — ჰიბერნიანი 1:0, კილმარნოკი — მოზერველი 1:0, რეით როვერსი — დანფერმლაინი 0:1, სელტიკი — რეინჯერსი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 30 | 22 | 5 | 3 | 72:26 | 71 |
| სელტიკი | 30 | 20 | 3 | 7 | 66:28 | 63 |
| დანდი იუნ. | 30 | 15 | 8 | 7 | 42:25 | 53 |
| ჰართსი | 30 | 12 | 8 | 10 | 41:39 | 44 |
| აბერდინი | 30 | 9 | 11 | 10 | 41:47 | 38 |
| დანფერმლაინი | 30 | 11 | 5 | 14 | 43:54 | 38 |
| კილმარნოკი | 30 | 9 | 3 | 18 | 35:55 | 30 |
| მოზერველი | 30 | 7 | 8 | 15 | 34:51 | 29 |
| ჰიბერნიანი | 30 | 7 | 8 | 15 | 29:48 | 29 |
| რეით როვერსი | 30 | 6 | 5 | 19 | 26:56 | 23 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინგლისი

## XXX ტური

### ჩელსი 6:2 სანდერლენდი

**ჩელსი: გროდახი, პეტრესკუ, კლარკი, მეიერსი (პარკერი 66), მ.ჰიუზი, უაიზი, ბარლი, დი მატეო, მინტო, ხინკლერი, ძოლა (ვიალი 84)**
**სანდერლენდი: პერესი, ბოლი (რეი 46), მელვილი, ორდი, კუბიჩკი, კელი, ბოლი, ბრიჯისი (მოუი 79), ბრაისველი, გრეი, მულინი (სტიუარტი 46)**
**გოლი: ძოლა (38), ხინკლერი (43), პეტრესკუ (51), სტიუარტი (58), რეი (60), მ. ჰიუზი (78, 90), დი მატეო (90)**

1990 წლის დეკემბრის შემდეგ ლონდონელებმა პირველად გაიტანეს ექვსი გოლი, თანაც „სანდერლენდს" ბოლო შვიდ მატჩში მეექვსე მარცხი აწვნიეს. ანგარიში პირველ ნახევარშივე კატასტროფული იქნებოდა, რომ არა სტუმართა ფრანგი მეკარე ლეონელ პერესი. ეს კარგი, მაგრამ გაფრთხილებული მარკ ჰიუზი და უაიზი შემდეგ თამაშს გამოტოვებენ.

### ასტონ ვილა 0:0 ვესტ ჰემი

**ვილა: ბოზნიჩი, ნელსონი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ჰიუზი, თაუნსენდი, ტეილორი, დრეიპერი (ჰენდრი 71), იორკი, ოიახიმი (ჯონსონი 75)**
**ვესტ ჰემი: მიკლოშკო, ბრეიკერი, დიქსი, პოტსი, ბილიჩი, მონკური, ბიშოპი, ლამპარდი (ფერდინანდი 31), კიტსონი, ჰარტსონი, ლაზარიდისი**

უსახურიო, სწორედ ამისთანა თამაშზე ითქმის. არადა, ცდას არც ერთი აკლებდა, არც მეორე, მაგრამ ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ. „ვესტ ჰემს" ამ ჩემპიონატში ერთადერთხელ ემარჯვა სტუმრად, თუმცა პირველი ტაიმის შემხედვარე ამას ნამდვილად ვერ იტყოდი — ბურთმა მეტწილ მასპინძელთა ნახევარზე იტრიალა, მაგრამ კარში შესვლა არა და არ ინება — ბოზნიჩმა, რომ იტყვიან, თავი გაიგიჟა. შესვენების შემდეგ მასპინძლები გონს მოეგნენ, თამაშიც გათანაბრდა, ბურთმა ბირმინგემელთა ნახევრიდან მოედნის ცენტრში გადაინაცვლა, მაგრამ ეს იყო და ეს.

### ბლექბერნი 3:1 უიმბლდონი

**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი (დონისი 87), უილკოქსი, პედერსენი (უერჰარსტი 76), მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი**
**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ, გეილი, პერი, გუდმენი (შერფორდი 31)**
**გოლი: გალაჰერი (7, 26, 58), ეკოკუ (39)**

უიმბლდონელთა მთავარი საფიქრალი ახლა თასებია და ამ შეხვედრაში თავი არც მოუკლავთ.

### ევერტონი 1:0 დერბი ქაუნთი

**ევერტონი: საუთჰოლი, ბერტი, უოტსონი, ანსუორსი, შორტი, ფელანი, ტომსენი (მოტიგერი 80), პარკინსონი, ბარმბი, ბრენჩი (სტიუარტი 46), ფერგიუსონი**
**დერბი: ტეილორი, როუეტი, ს.პაუელი, დ. პაუელი, ასანოვიჩი, უორდი, ტრილოპი, ლაურსენი, კერსლი (სიმპსონი 85), დეილი, მაკგრათი (კარბონი 89)**
**გოლი: უოტსონი (79)**

ბოლო 12 შეხვედრაში „ევერტონმა" მეორედ იმარჯვა. ერთადერთ გოლამდე ერთი წუთით ადრე წინ გამოსულ საუთჰოლს ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა ასანოვიჩმა, მაგრამ ალიოშას მიერ 30 მეტრიდან დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია. ჩაწოდებული მასპინძლებმა საჯარიმოდან გამოიტანეს და საგოლე შეტევასაც დაუდეს სათავე: ფერგიუსონის პასით ლივერპულელთა ვეტერანმა უოტსონმა შეაგდო.

### ლესტერი 1:3 მიდლსბრო

**ლესტერი: პული, გრეისონი, ჯაპი, უოტსი, ელიოტი, პრაიორი, იზეტი, ლენონი, პარკერი, კლერიჯი (რობინსი 81), მარშალი**
**მიდლსბრო: შვარცერი, კოქსი, ვიკერსი, პირსონი, ემერსონი (მური 90), ბექი, ჟუნინიო, რავანელი, ფლემინგი, ბლექმორი, ჰინჩი**
**გოლი: ბლექმორი (9), ჟუნინიო (27), ბექი (36), მარშალი (47)**

ბრაიან რობსონის ბიჭებმა, როგორც იქნა, ჩემპიონატისთვისაც მოიცალეს. „მიდლსბრო" „ლესტერს" 6 აპრილს, „უემბლიზე", ლიგის თასის ფინალშიც შეხვდება. არავინ იცის, რა მოხდება იმ დღეს, ჩემპიონატის მატჩში კი „მიდლსბრომ" ივარგა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს აკლდათ ძირითადი მეკარე ამერიკელი კელერი, კაპიტანი უოლში და ფორვარდი ჰესკი, რამაც ცხადია, დაასუსტა გუნდი. ბრწყინვალედ ითამაშა ჟუნინიომ, რომლის გაჩერება იმ დღეს შეუძლებელი იყო. სტუმრებს მეოთხის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ჭალარა რავანელიმ ააცილა.

### იუნაიტედი 2:0 შეფილდი

**იუნაიტედი: შმაიხელი, გ.ნევილი, ირვინი, მეი, პალისტერი, კანტონა, ბუთი, კოული (პობორსკი 23), ბექემი, გიგზი, სოლსკიაერი (სქოულზი 83)**
**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, უოქერი, უიტინგემი, კარბონი, შერსტი, ბლინკერი (ბრისკო 63), ნიკოლი (ბუთი 63), სტეფანოვიჩი, ჰამფრიზი (ტრასტფული 83)**
**გოლი: კოული (19), პობორსკი (61)**

„შეფილდ იუნაიტედი" ბოლო 21 შეხვედრაში პირველად დამარცხდა. მართალია, სტუმრებს რამდენიმე მოთამაშე აკლდათ, მაგრამ მათი მარცხის მიზეზი ეს სულაც არ იყო. შესანიშნავად ითამაშეს გიგზმა და კანტონამ. პირველ გოლამდე მასპინძლებს ორჯერ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ პრესმენმა სოლსკიაერს და ბექემს აუღო, მერე კი გიგზისა და კანტონას გათამაშებული ლამაზი კომბინაცია ენდი კოულმა დაასრულა გოლით. ენდიმ, რაც თამაში განახლა, ცხრა შეხვედრაში მეხუთედ შეაგდო. ანგარიშის გახსნიდან ოთხ წუთში გოლის ავტორი დაშავდა და თამაშს დაეთხოვა. პირველ ნახევარში მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ არ გაუმართლდათ. შესვენების შემდეგ სტუმრები გამოცოცხლდნენ და შმაიხელიც დაასაქმეს, მაგრამ 15 წუთში მეორე ბურთი გაუშვეს. სტუმართა დაცვის დამწიოკებელმა, ნორვეგიელმა სოლსკიაერმა პობორსკის გადააწოდა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა კი პრემიერლიგაში მეორე გოლი გაიტანა. კარელმა პირველად ექვსი თვის წინ შეაგდო.

### ნიუკასლი 4:0 ქოვენთრი

**ნიუკასლი: ჰისლოპი, უოტსონი, პიკოკი, ალბერი, ელიოტი, ბეტი, ბარტონი, ლი (კლარკი 77), ჟინოლა (კლაუვერტი 80), ბერდსლი, ასპრილია (გილესპი 77)**
**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, დაბლინი, ბრინი, ჰოლი, რიჩარდსონი (ბოლენდი 83), მაკალისტერი, ვეტუშოკი (ბოროუზი 46), ტელფერი, ჯესი, ჰაკერბი (ნდლოვუ 80)**
**გოლი: უოტსონი (12), ლი (45), ბერდსლი (76 პ), ელიოტი (87)**
**გაძევება: ბოროუზი (71)**

ასპრილიას გოლი არ გაუტანია, მაგრამ ეს შეხვედრა მაინც იქცა მის ბენეფისად — კოლუმბიელმა ოთხივე გოლში დაიდო წილი. მე-7 წუთზე ფაუსტინომ და ელიოტმა კომბინაცია გაითამაშეს, უოტსონმა ააცილა, მაგრამ ხუთ წუთში თავისი მაინც გააკეთა — გარღვევაზე გაიყვანა ასპრილია, ფაუსტინომ მცველი ჩამოიშორა და უოტსონს დაუბრუნა, ამან კი ბურთი მეკარეს შემოატარა და სეზონში პირველი გოლი გაიტანა. ანგარიში ტაიმის ბოლო წუთზე გაიზარდა: ასპრილიამ „ქოვენთრის" მცველები დააბნია, არეულობით კი ლიმ ისარგებლა. მეორე ტაიმში სტუმრები უხეშად ათამაშდნენ. მსაჯმა დაბლინი და შოუ გააფრთხილა, ბოროუზი კი მოედნიდან მიაბრძანა. თერთმეტ ქოვენთრელს არაფრით გამოუჩენია თავი, კაცნაკლულები კი საერთოდ განადგურდნენ. 76-ე წუთზე ასპრილია საჯარიმოში წააქცია დაბლინმა, ბერდსლიმ პენალტი გოლად აქცია. ათ წუთში 37 ათასმა გულშემატკივარმა მეოთხე გოლი იხილა — ელიოტმა მოგერიებულს მიუსწრო.

### ნოტინგემი 1:1 ლივერპული

**ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი (კლაფი 85), პირსი, ჩეტლი, ფილიპსი, ჯემილი, სონდერსი, უოენი, ვანშუიდონკი, იერკანი, ჰაალანდი**
**ლივერპული: ჯეიმსი, მატეო, ბიორნებიუ, რაიტი, მაკატირი (მერკნესი 52), კვარმე, მაკმანამანი, ბერგერი (კოლიმორი 75), ფაულერი, ბარნსი, რედნეპი**
**გოლი: ფაულერი (4), უოენი (30)**

პირველ ნახევარში სტუმრებმა იმდენი სახიფათო მომენტი შექმნეს, ბარე ორ მატჩს ეყოფოდა, მაგრამ გოლად მხოლოდ ერთი აქციეს. გუნდები ჯერ ხეირიანად არც გახურებულიყვნენ, რომ ფაულერმა ანგარიში გახსნა. მე-12 წუთისთვის მას ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო. ტაიმის შუაში კარგად გაისარჯა ვან ჰუიდონკი, რომლის უძლიერესი დარტყმა ძლივს მოიგერია ჯეიმსმა. 26-ე წუთზე კვლავ ფაულერმა ააცილა. სტუმრების უხეირობას მასპინძლებმა გოლით უპასუხეს: თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში ჰაალანდის პასით უოენმა გაათანაბრა. მეორე ნახევარშიც უფრო „ლივერპული" აქტიურობდა, თუმცა, გულხელდაკრეფილი არც „ნოტინგემი" იყო. 67-ე წუთზე რედნეპმა მოარტყა კროსლის კარის ხარიხას. თამაშის დასასრულამდე 15 წუთით ადრე მოედანზე კოლიმორი შევიდა, რომელმაც დარჩენილ დროში ორჯერ მოასწრო სახიფათო მომენტის გაფუჭება. ერთი სიტყვით, „ლივერპულმა" ძლიერად ითამაშა და თასების თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩისთვის იმედიანად განეწყო.

### საუთჰემპტონი 0:2 არსენალი

**საუთჰემპტონი: ტეილორი, ნილსონი (ბერკოვიჩი 52), დრაიდენი, ლუნდეკვამი (მონკუ 52), ჩარლტონი, სლეიტერი, მეჯილტონი, მედისონი, ლე ტისიე, ევანსი, ოსტენსტადი**
**არსენალი: ჰარპერი, კეონი, უინთერბერნი, ადამსი, მარშალი, პარლოუ, პლატი, ვიეირა, ბერხკამპი, შოუ (გარდე 75), ჰიუზი**
**გოლი: ჰიუზი (41), შოუ (72)**

6 წამყვანი მოთამაშის ნაკლებობას ლონდონელთათვის ხელი არ შეუშლია, ამ შეხვედრაში იღბალი მათ მხარეს იყო. პირველ ტაიმში 20 წლის ჰიუზმა „არსენალის" შემადგენლობაში პირველად გაიტანა. შესვენების შემდეგ თამაში გამწვავდა და მალე ვიეირას და ლე ტისიეს შორის ჩხუბიც ატყდა. ფრანგმა მასპინძელს სახეში და ფეხებში უთავაზა, მაგრამ არბიტრმა მას ყვითელი ბარათი აკმარა. მასპინძლების ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია, სტუმრებმა კი უფრო განამტკიცეს უპირატესობა: დამთავრებამდე 13 წუთით ადრე შოუმ მოგერიებულს ზუსტად დაამატა.

### ტოტენჰემი 1:0 ლიდსი

**ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი, კალდერვუდი, დოზილი, სქაილზი, ივერსენი (როზენტალი 82), კემპბელი, სინტონი, კარი, ანდერტონი, შერინგემი**
**ლიდსი: მარტინი, რადებე, დინი, ბოუერი, ჰოლი, შარპი, რაში, იებოა (შერტი 73), მოლენაარი, კელი, დორიგო**
**გოლი: ანდერტონი (26)**

„ლიდსის" დაცვა ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება პრემიერლიგაში, თუმცა ამ თამაშის შემყურე ამას ნამდვილად ვერ იტყოდი. მარტინი ისეთ დღეში იყო, შეგეცოდებოდათ — იგი, ფაქტობრივად, მცველების მაგიერობასაც სწევდა და მარტო პირველ ნახევარში დაახლოებით ათჯერ იხსნა ლიდსელები. ბევრი ივაჟკაცა თუ ცოტა, ერთხელ მაინც შეცდა — სქაილზის მიწოდებულს ანდერტონმა მოუსწრო და გაიტანა.

ლაშა ბოლქვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 30 | 17 | 9 | 4 | 59:33 | 60 |
| ლივერპული | 30 | 16 | 9 | 5 | 51:25 | 57 |
| არსენალი | 31 | 16 | 9 | 6 | 51:26 | 57 |
| ნიუკასლი | 29 | 15 | 6 | 8 | 58:35 | 51 |
| შეფილდი | 30 | 12 | 12 | 6 | 39:35 | 48 |
| ასტონ ვილა | 30 | 13 | 8 | 9 | 35:27 | 47 |
| ჩელსი | 29 | 12 | 10 | 7 | 50:43 | 46 |
| უიმბლდონი | 28 | 12 | 8 | 8 | 40:35 | 44 |
| ლიდსი | 31 | 11 | 7 | 13 | 24:32 | 40 |
| ტოტენჰემი | 29 | 11 | 5 | 13 | 35:38 | 38 |
| ლესტერი | 29 | 10 | 7 | 12 | 34:41 | 37 |
| ბლექბერნი | 29 | 8 | 12 | 9 | 32:28 | 36 |
| ევერტონი | 30 | 9 | 9 | 12 | 37:43 | 36 |
| დერბი | 30 | 7 | 11 | 12 | 31:45 | 32 |
| სანდერლენდი | 31 | 8 | 8 | 15 | 28:47 | 32 |
| ქოვენთრი | 31 | 6 | 12 | 13 | 26:43 | 30 |
| ვესტ ჰემი | 29 | 7 | 8 | 14 | 27:39 | 29 |
| ნოტინგემი | 31 | 6 | 11 | 14 | 26:47 | 29 |
| საუთჰემპტონი | 29 | 6 | 8 | 15 | 37:48 | 26 |
| მიდლსბრო | 28 | 7 | 7 | 14 | 40:50 | 25 |

## პირველი დივიზიონი

### გრიმსბი 1:1 სიტი

**სიტი: რაიტი, ბრაითველი, მორლოკი, ლომასი, კერნაგენი, ბრენანი, სამერბი, მაკგოლდრიკი, ყაველაშვილი (გრინერსი 79), ქინქლაძე, როსლერი**
**გოლი: ამელტონი (17), ყაველაშვილი (32)**

**ტურის სხვა მატჩები: ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი 2:0, კრისტალპალასი — ნორვიჩი 2:0, ჰადერსფილდი — პორტსმუთი 1:3, იფსვიჩი — ბოლტონი 0:1, ოლდემი — ვულვერჰემპტონი 3:2, პორტ ვეილი — ჩარლტონი 2:0, რედინგი — ბრედფორდი 0:0, შეფილდი — ოქსფორდი 3:1, საუთენდი — ქუინზპარკი 0:1, სვინდონი — სტოკსიტი 1:0, ტრანმერი — ბარნსლი 1:1.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 38 | 22 | 12 | 4 | 81:46 | 78 |
| ვულვზი | 37 | 19 | 8 | 10 | 54:38 | 65 |
| ბარნსლი | 36 | 17 | 12 | 7 | 60:43 | 63 |
| შეფილდი | 37 | 17 | 10 | 10 | 64:43 | 61 |
| კრისტალ პალ. | 36 | 15 | 11 | 10 | 67:38 | 56 |
| ნორვიჩი | 38 | 15 | 10 | 13 | 55:58 | 55 |
| იფსვიჩი | 37 | 14 | 13 | 10 | 51:45 | 55 |
| პორტ ვეილი | 38 | 13 | 15 | 10 | 46:43 | 54 |
| პორტსმუთი | 36 | 15 | 8 | 13 | 45:40 | 53 |
| სვინდონი | 38 | 15 | 7 | 16 | 51:54 | 52 |
| ტრანმერი | 36 | 14 | 9 | 13 | 49:47 | 51 |
| სტოკ სიტი | 36 | 14 | 9 | 13 | 43:46 | 51 |
| ქუინზ პარკი | 38 | 13 | 11 | 14 | 48:50 | 50 |
| რედინგი | 36 | 12 | 11 | 13 | 47:52 | 47 |
| ოქსფორდი | 37 | 13 | 7 | 17 | 49:51 | 46 |
| სიტი | 36 | 13 | 7 | 16 | 45:48 | 46 |
| ჩარლტონი | 36 | 13 | 7 | 16 | 43:52 | 46 |
| ბირმინგემი | 35 | 12 | 10 | 13 | 41:42 | 46 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 10 | 14 | 13 | 58:62 | 44 |
| ჰადერსფილდი | 38 | 11 | 11 | 16 | 42:55 | 44 |
| გრიმსბი | 36 | 8 | 11 | 17 | 48:67 | 35 |
| ბრედფორდი | 37 | 8 | 11 | 18 | 38:60 | 35 |
| ოლდემი | 35 | 8 | 10 | 17 | 37:48 | 34 |
| საუთენდი | 38 | 7 | 12 | 19 | 35:69 | 33 |


AP მაუნზერი

ბაიერნი — შალკე. ხარობენ კრისტიან ნერლინგერი და იურგენ კლინსმანი

# გერმანია

## XXIII ტური

### შტუტგარტი 4:1 დორტმუნდი

0:1 როიტერი (8), 1:1 ბალაკოვი (44 პ), 2:1 ვერლაატი (45), 3:1 ელბერი (82), 4:1 სოლდო (84)

### ბაიერნი 3:0 შალკე

1:0 ჰელმერი (13), 2:0 ნერლინგერი (89), 3:0 კლინსმანი (90)

### ლევერკუზენი 1:0 არმინია

1:0 მაიერი (86)

### ფრაიბურგი 2:2 მიუნხენ 1860

0:1 ვინკლერი (23), 0:2 ვინკლერი (31), 1:2 ზერიჩი (50), 2:2 ჰაიდენრაიხი (67)

### ჰანზა 3:1 დიუსელდორფი

1:0 ბაინლიხი (4), 1:1 მელბორნი (30), 2:1 აკპობორი (39), 3:1 შტუდერი (43)

### მიონხენგლადბახი 2:1 კიოლნი

0:1 პოლსტერი (50 პ), 1:1 ლუპესკუ (66 პ), 2:1 ვინმოფი (75)

### დუისბურგი 2:2 კარლსრუე

0:1 კარლი (12), 0:2 კირიაკოვი (38), 1:2 სალუ (72), 2:2 ნაისაუსი (74)

### ზანქტ პაული 2:2 ჰამბურგი

0:1 ბრაიტენრაიტერი (10), 1:1 პისარევი (80), 1:2 კმეჩი (84), 2:2 შარპინგი (90)

### ბოხუმი 3:2 ვერდერი

„შტუტგარტმა" გასულ კვირაში სამივე თამაში მოიგო. ამ სამ შეხვედრაში შტუტგარტელებმა 13 გოლი შეყარეს. შაბათს, სანამ მათი გოლთაცვენა დაიწყებოდა, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. გათანაბრება „შტუტგარტმა" ტაიმის დამთავრების წინ, ბალაკოვის პენალტით შეძლო. შესვენების შემდეგ, 45 წამი რომ გავიდა, გუნდის ჰოლანდიელმა ლიბერომ ფრანკ ვერლაატმა 20 მეტრიდან დააქუხა და მასპინძლები დააწინაურა. საერთოდ მეორე ნახევარში ბუნდესლიგის საუკეთესო თავდასხმამ საუკეთესო დაცვას შთამბეჭდავად აჯობა. 82-ე წუთზე მოედნის სიღრმიდან ჩაწოდებულ პასს ბრაზილიელი ელბერი ნაპერწკალივით შეჰყვა და მძლავრი დარტყმით ბურთი სტუმრების კარის მარცხენა კუთხეში შეაგდო. გამოხდა ორი წუთი და ზვონიმირ სოლდომ დაასრულა თანაგუნდელთა ბრწყინვალე გამარჯვება.

საგულისხმოა, რომ პენალტამდე, ანუ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში უპირატესობას „დორტმუნდი" ფლობდა. აი, პენალტმა წაუხდინა საქმე.

— ელბერი არ წამიქცევია, პენალტი შეცდომით დანიშნეს და აშკარაა, რომ ამ ეპიზოდმა თამაშის კალაპოტი შეცვალა — თქვა მატჩის შემდეგ კოლერმა.

მეორე ფავორიტი, „ბაიერნი" „შალკეს" წინაშე ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ წარსდგა. „შალკეს", პირიქით, საქმე ალჩუზე მოუდიოდა, უეფას თასზე მოპოვებული ბოლო გამარჯვება რომც არ ჩავთვალოთ, წაუგებელი 9 შეხვედრა გამოუდიოდა. თანაც, „შალკეს" 584 წუთის განმავლობაში არ გაეშვა გოლი. ვინ იცის, მეკარე იენს ლემანს გუნებაში ბრემენელი ოლივერ რეკის რეკორდის (641 უგოლო წუთი) დამხობაც ჰქონდა, მაგრამ მიღწეულს მხოლოდ 12 წუთი დაამატა. იტალიელი თანაგუნდელის რუჯერო რიციტელის ჩაკიდებულს მიუნხენელმა თომას ჰელმერმა თაური დაარტყა და ლემანს ოცნება მოუკლა.

„ლევერკუზენმა", რომელსაც „შტუტგარტსავით" 44 ქულა აქვს, საამისოდ „არმინია" სძლია 1:0. „მეტოქეს თამაშით ვერ ვაჯობეთ და იძულებული შევიქენით გამარჯვებისთვის ღონით მიგველწია" — განმარტა „ლევერკუზენის" თავკაცმა კრისტოფ დაუმმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 23 | 14 | 4 | 5 | 49:27 | 46 |
| ბაიერნი | 23 | 13 | 7 | 3 | 41:24 | 46 |
| შტუტგარტი | 23 | 13 | 5 | 5 | 55:25 | 44 |
| ლევერკუზენი | 23 | 13 | 5 | 5 | 46:30 | 44 |
| შალკე 04 | 23 | 10 | 6 | 7 | 31:29 | 36 |
| ბოხუმი | 22 | 9 | 8 | 5 | 32:31 | 35 |
| კარლსრუე | 23 | 9 | 7 | 7 | 40:30 | 34 |
| კიოლნი | 23 | 10 | 3 | 10 | 38:39 | 33 |
| ვერდერი | 23 | 9 | 5 | 9 | 38:38 | 32 |
| მიუნხენ 1860 | 23 | 8 | 7 | 8 | 39:40 | 31 |
| არმინია | 23 | 8 | 5 | 10 | 28:34 | 29 |
| ჰამბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 34:37 | 28 |
| გლადბახი | 23 | 7 | 5 | 11 | 22:28 | 26 |
| დუისბურგი | 23 | 6 | 7 | 10 | 22:35 | 25 |
| ფორტუნა | 23 | 7 | 4 | 12 | 19:35 | 25 |
| ჰანზა | 23 | 5 | 6 | 12 | 24:33 | 21 |
| ზანქტ პაული | 22 | 5 | 5 | 12 | 28:43 | 20 |
| ფრაიბურგი | 23 | 4 | 2 | 17 | 24:52 | 14 |

## მეორე ბუნდესლიგა

**21-ე ტური. ფორტუნა — აინტრახტი 0:0, როტ ვაისი — მაინცი 0:2, ცვიკაუ — უნტერჰახინგი 0:2, მანჰაიმი — მეპენი 1:0, გიუტერსლო — ვოლფსბურგი 1:1, ოლდენბურგი — კარლ ცაისი 1:0, ლიუბეკი — კიკერსი 1:0, ლაიპციგი — ჰერტა 0:3.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერტა | 21 | 12 | 4 | 5 | 36:20 | 40 |
| კ. სლაუტერნი | 20 | 10 | 8 | 2 | 36:13 | 38 |
| მაინცი | 21 | 9 | 7 | 5 | 34:24 | 34 |
| უნტერჰახინგი | 21 | 6 | 14 | 1 | 19:13 | 32 |
| მეპენი | 21 | 8 | 8 | 5 | 28:25 | 32 |
| ვოლფსბურგი | 20 | 7 | 10 | 3 | 23:14 | 31 |
| ფორტუნა | 21 | 7 | 7 | 7 | 37:28 | 28 |
| ურდინგენი | 20 | 8 | 4 | 8 | 32:24 | 28 |
| კიკერსი | 21 | 7 | 7 | 7 | 27:22 | 28 |
| კარლ ცაისი | 21 | 6 | 9 | 6 | 28:29 | 27 |
| ლაიფციგი | 20 | 7 | 6 | 7 | 31:35 | 27 |
| გიუტერსლო | 21 | 7 | 6 | 8 | 25:30 | 27 |
| აინტრახტი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:29 | 26 |
| მანჰაიმი | 21 | 7 | 5 | 9 | 30:34 | 26 |
| ცვიკაუ | 21 | 6 | 4 | 11 | 19:31 | 22 |
| ლიუბეკი | 21 | 4 | 8 | 9 | 17:33 | 20 |
| ოლდენბურგი | 21 | 5 | 4 | 12 | 23:46 | 19 |
| როტ ვაისი | 21 | 5 | 2 | 14 | 23:45 | 17 |

## ფეხბურთის რუკასთან



აშშ-ის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 3:0 დაამარცხა კანადის ნაკრები. ორი გოლი ერიკ ვინალდამ შეაგდო, ერთიც ედი პოპმა გაიტანა.



აშშ — კანადა. ამერიკელი ბალბოასა (17) და კანადელი ბარბერის ორთაბრძოლა

1926 წლის ნოემბრის შემდეგ ამერიკელებს ჩრდილოელ მეზობლებისთვის დიდი ანგარიშით აღარ მოუგიათ. მაშინ მათ ამხანაგურ მატჩში 6:2 გაანადგურეს მეტოქე. იმავე ზონაში გაიმართა მსოფლიოს პირველობის შესარჩევი ტურნირის მეორე შეხვედრა. კოსტა-რიკამ შინ 0:0 ითამაშა მექსიკასთან.

**ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ პარასკევს ოფიციალური განცხადება გააკეთა 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის თაობაზე. აქამდე ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი ტურნირის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს სამხრეთ აფრიკამ, მაროკომ, ეგვიპტემ, ავსტრალიამ, რუსეთმა, ინგლისმა და გერმანიამ.**

საფრანგეთში ივნისში ოთხთა დიდი ტურნირი გაიმართება. ახლახან გამოცხადდა, რომ ბრაზილიის და ინგლისის ნაკრებები ლანსის ნაცვლად პარიზში, „პარკ დე პრენსის" სტადიონზე ითამაშებენ. აქვე შეხვდებიან ერთმანეთს საფრანგეთისა და იტალიის გუნდები.

**ესპანეთის თასის გათამაშების ნახევარფინალების წილისყრა პარასკევს გაიმართა. ბარსელონა შეხვდება ლას პალმასს, ბეტისი — სელტას. პირველი მატჩები 26 და 27 მარტს გაიმართება, განმეორებითი შეხვედრები კი 2 და 3 აპრილს ჩატარდება.**

იტალიის მეოთხე ლიგის კლუბ „კოლენტინოს" მოთამაშემ ფრანჩესკო კუჩიმ ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია აიკიდა. იგი სამედიცინო შემოწმების დროს ნარკოტიკების მიღებაში ამხილეს. კლუბი იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ 1'300 დოლარით დააჯარიმა.

**გერმანიის ნაკრების წევრმა თომას ჰესლერმა განაცხადა, რომ „კარლსრუესთან" კონტრაქტი სამი წლით გააგრძელა. ნახევარმცველს ლევერკუზენის „ბაიერი" და „კიოლნი" ეპატიჟებოდნენ, ევროპის რამდენიმე წამყვანი კლუბიც იწვევდა. ახალი კონტრაქტის თანახმად, ჰესლერი კარლსრუეში 1999-2000 წლების სეზონის ბოლომდე დარჩება.**

იტალიის პრესის ცნობით, „მილანის" ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი შესაძლოა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადაბარგდეს. 26 წლის ხორვატ მოთამაშეში ინგლისელები 8 მილიონ 750 ათას დოლარს იხდიან. თავად ბობანს კი ჯერ ვერ გადაუწყვეტია, დარჩეს თუ არა იტალიაში. მისი კონტრაქტი 1999 წელს იწურება.

**ინგლისში მოთამაშე ზიმბაბველ მეკარეს ბრიუს გრობელაარს ერთ-ერთმა გულშემატკივარმა რასისტულ გამონათქვამებში დასდო ბრალი. ბრიუსის კლუბმა „პლიმუტმა" 3:2 მოუგო მეტოქეს. დამარცხებული გუნდის ქომაგს თუ დავუჯერებთ, გრობელაარმა შეურაცხყო შავკანიანი მეტოქეები. საქმეში პოლიციაც ჩაერია, თუმცა მეკარეს დანაშაული ვერ დაუმტკიცეს.**

არგენტინის ჩემპიონატში მოთამაშე პარაგვაელმა მეკარემ ხოსე ლუის შილავერმა, რომელიც ბ ი წარდინული თვისებებით გამოირჩევა, ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში ორი პენალტი ვერ გაიტანა, მისი კლუბი „ველეზ სარსფილდი" კი 0:1 დამარცხდა. 1993 წლიდან, მას შემდეგ, რაც შილავერი „ველეზში" თამაშობს, კლუბმა სამჯერ იმარჯვა ქვეყნის პირველობაში, მეკარე კი პენალტებით და საჯარიმო დარტყმებით 13 გოლს ითვლის.

**ავსტრალიის ნაკრების ინგლისელმა მწვრთნელმა ტერი ვენებლზმა თავის კოლეგა გლენ ჰოდლს ავსტრალია — ინგლისის შეხვედრის გამართვა შესთავაზა. ჰოდლს ეს აზრი ძლიერ მოეწონა, მაგრამ გადატვირთული კალენდრის გამო იდეაც და მატჩის ჩატარებაც მომავალ წლამდე გადადო.**

დანიელ მეკარეს პიტერ შმაიხელს კიდევ ერთ რასისტულ გამოხტომაში ედება ბრალი. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ფეხბურთელი ექვსი წლის წინანდელი ვიდეოჩანაწერით ამხილა — შმაიხელი რასისტული ფრაზებით ამკობს „ლიდსის" ფორვარდს როდ უოლესს. შმაიხელის მეორე საქმე, რომელიც მასსა და არსენალელ იან რაიტს შორის წარმოქმნილ კონფლიქტს ეხება, გამოძიების სტადიაშია.

**ინგლისელმა მარკ ჰეიტლიმ „რეინჯერსში" დაბრუნება გადაწყვიტა. 35 წლის ფორვარდმა, ვისაც ადრე „ქოვენთრიში", „ქუინზ პარკში", „პორტსმუთში", „მილანში" და „მონაკოში" უთამაშია, მოწვევა მიიღო გლაზგოელთა მწვრთნელ უოლტერ სმიტისგან. მომავალ ტურში „რეინჯერსი" დაუძინებელ მტერს — „სელტიკს" მასპინძლობს, სმიტს კი ტრავმის გამო სამივე ფორვარდი — როზენტალი, ანდერსენი და დიური გამოეცალა ხელიდან. ჰეიტლი „რეინჯერსში" ხუთი სეზონი თამაშობდა, ამ დროის განმავლობაში ასზე მეტი გოლი გაიტანა, წელიწადნახევრის წინ კი მილიონ გირვანქად „ქუინზ პარკში" გადავიდა. შოტლანდიელებს მისი დაბრუნება 300 ათასი გირვანქა დაუჯდათ.**

ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ნაიჯელ კლაფი შესაძლოა „ნოტინგემიდან" „მანჩესტერ სიტიში" დაბრუნდეს. 31 წლის კლაფმა სამი თვე ითამაშა პრემიერლიგაში, ახლა კი დაბრუნება გადაწყვიტა. 1984-93 წლებში კლაფმა „ნოტინგემის" შემადგენლობაში 400-ზე მეტი მატჩი ითამაშა, 1996 წლის იანვარში კი „სიტიში" გადაბარგდა. პრემიერლიგელთა მწვრთნელმა დეივ ბესეტმა განაცხადა, რომ უკვე გადაწყვეტილია კლაფის „სიტიში" დაბრუნება.

**კოსტარიკელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც „დერბიმ" შეისყიდა, შესაძლოა პრემიერლიგაში ახალ სეზონამდე ვერ ითამაშონ. პაულო სეზარ ვანჩოპეს და მაურიციო სოლისს ინგლისში მუშაობის უფლებას არ აძლევენ. კლუბის განცხადებით, თუ კოსტარიკელებს წელს თამაშის ნებას არ დართავენ, მომავალ სეზონში ისინი ალბათ სულაც აღარ დასჭირდება „დერბის".**

იტალიელ ფაბრიციო რავანელის სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონია. ტურინის ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილი ინტერვიუს თანახმად, რავანელის განუცხადებია, ინგლისში ორივე თასს მოვიპოვებ და „მიდლსბროში" დავრჩებიო, თავად მოთამაშემ კი სრულად საპირისპირო რამ თქვა: „მომენატრა ევროტურნირებში თამაში, თუმცა მჯერა, რომ ინგლისის თასის მოპოვებით მომავალ სეზონში თასების თასზე თამაშს შევძლებ."

**ნიგერიის ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მოპოვებაა. ტრუსიე ნიგერიის ნაკრების მე-16 უცხოელი, ხოლო პირველი ფრანგი მწვრთნელია. ჯერჯერობით, ნიგერია შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზეა და გვინეას ჩამორჩება, გუნდს, რომელსაც აპრილში უნდა უმასპინძლოს. ტრუსიე 1993 წელს კოტ დ ივუარის ნაკრებს წვრთნიდა, მაგრამ გუნდი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში ვერ გაიყვანა და გაათავისუფლეს. იმ ჯგუფიდან მაშინ ნიგერიის ნაკრები გავიდა.**

ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშე კრის უოდლი „ბრედფორდიდან" წასვლას არ აპირებს. მისი შესაძლო გადასვლა „ნოტინგემში" ჭორის დონეზე დარჩა, რადგან არცერთ მხარეს არ მიუმართავს ერთმანეთისთვის ოფიციალური წინადადებით. 36 წლის უოდლმა განაცხადა, რომ „ბრედფორდში" შესანიშნავად გრძნობს თავს. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაში დაბრუნება შეეძლო, მან პირველ დივიზიონში დარჩენა ამჯობინა.

**აფრიკის სამხრეთით მდებარე ქვეყნების თასის გათამაშება ფინალს მიუახლოვდა. ჯგუფური ტურნირებიდან ფინალში ხუთი გუნდი — მალავი, მოზამბიკი, ზიმბაბვე, ტანზანია და ნამიბია გავიდა. ტურნირში არ მონაწილეობს სამხრეთ აფრიკის ნაკრები. ფინალის პირველ ტურში ნამიბიამ 2:1 მოუგო ზიმბაბვეს.**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## "CROCO"

**უეფას თასის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

18 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მონაკო — ნიუკასლი | (1,15-5,0) | 1,8 | 2,7 | 3,8 |
| ბრონდბიუ — ტენერიფე | (1,3-3,0) | 2,1 | 2,9 | 2,8 |
| ინტერი — ანდერლეხტი | (1,05-10,0) | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| ვალენსია — შალკე | (2,4-1,45) | 1,5 | 3,1 | 5,3 |

**ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

19 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო — აიაქსი | (1,45-2,4) | 1,9 | 2,9 | 3,2 |
| იუვენტუსი — რუსენბორგი | (—-15,0) | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| პორტუ — მანჩესტერ იუნაიტედი | (15,0-—) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ოსერი — დორტმუნდი | (4,0-1,2) | 2,1 | 2,9 | 3,0 |

**თასების თასის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

20 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლივერპული — ბრანი | (1,05-10,0) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | | 1,5 | 3,4 | 3,5 |
| აიკი — ბარსელონა | (15,0-—) | 3,6 | 2,8 | 1,8 |
| ფიორენტინა — ბენფიკა | (—-15,0) | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| აეკი — პარი სენ ჟერმენი | (1,8-1,8) | 2,2 | 2,7 | 2,8 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.


## ესპანეთი

XXIX ტური

**ტენერიფე — ბილბაო 3:3, ატლეტიკო — ვალენსია 1:4, ესპანიოლი — დეპორტივო 0:1, სევილია — სპორტინგი 2:1, ლოგრონიესი — ბარსელონა 0:1, კომპოსტელა — ვალიადოლიდი 1:1, სარაგოსა — ესტრემადურა 3:1, რასინგი — სელტა 1:0, ოვიედო — ერკულესი 2:0, რაიო ვალეკანო — ბეტისი 0:4. სოსიედადი — რეალი წუხელ გვიან გაიმართა.**

„ბარსელონამ" პირველი ფერადკანიანი გოლი გაიტანა: ნიგერიელმა ემანუელ ამუნიკემ 82-ე წუთზე გატანილი გოლით კატალონიის გუნდი ლიდერის, „რეალის" კვალზე დატოვა. ასევე კვალზეა „ბეტისი", რომელმაც „რაიო ვალეკანოს" 4:0 გადაუარა.

ამუნიკემ ივან დელა პენიას ჯარიმას, უფრო სწორედ ჯარიმიდან შესრულებულ საუცხოო შორეულ პასს თავი შეაშველა და რონალდოსა და ხუან პიცისთვის არაფრისმეტყველ დღეს „ბარსას" გამარჯვება მოუტანა. საინტერესოა, რომ „ლოგრონიესმა", ვეტერანი რუბენ სოსას ყოჩობით, მრისხანე მეტოქეს ტოლი არ დაუდო და ეპიზოდურად ინიციატივასაც ფლობდა.

„ბეტისის" გამარჯვებები კი ალფონსოს ჰეთ-თრიქებზე ხდება დამოკიდებული. ასეა აგერ უკვე მეორე შეხვედრაში. „რაიოსთან" შეხვედრის მიწურულს, სტუმრები უკვე 4:0-ს რომ იგებდნენ, ალფონსო შეცვალეს და მადრიდელთა ქომაგებმაც კი ოვაციით გაისტუმრეს გმირი მეტოქე.

ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში „აიაქსთან" შეხვედრის წინ, დედაქალაქის „ატლეტიკომ" გვარიანი 1:4 წააგო „ვალენსიასთან". არგენტინელმა არიელ ორტეგამ, ერთი კვირის წინ ესპანური დებიუტი „სევილიას" კარში გატანილი ორი გოლით რომ აღნიშნა, დიდებული სვლა მადრიდელთა კარში გოლის შეგდებით განაგრძო. ეს მე-8 წუთზე მოხდა. 26-ზე სავიერ ესკურასამ 2:0 გახადა, 35-ზე კი ხოსე იგნასიომ გაასამა. ვეტერანმა ხოსე ლუის კამინერომ მეორე ტაიმის მე-6 წუთზე ანგარიში შეამცირა, მაგრამ „ატლეტიკოს" მხრივ სულ ეს იყო. თამაშის ბოლო წამებზე ლეანდრომ ხესუს ხილი ხილის ნალოლიავებ[illegible] ესპანეთის ჩემპიონი [illegible]ოდ გაუსწორა [illegible].



ატლეტიკო — ვალენსია. „ცეკვა" მადრიდელი ლოპესისა და სტუმართა არგენტინელი ორტეგას შესრულებით

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 28 | 19 | 8 | 1 | 61:23 | 65 |
| ბარსელონა | 29 | 18 | 5 | 6 | 71:37 | 59 |
| ბეტისი | 29 | 17 | 8 | 4 | 64:32 | 59 |
| დეპორტივო | 29 | 15 | 11 | 3 | 44:20 | 56 |
| ატლეტიკო | 28 | 14 | 7 | 7 | 54:38 | 49 |
| სოსიედადი | 28 | 13 | 6 | 9 | 35:30 | 45 |
| ტენერიფე | 28 | 12 | 7 | 9 | 50:31 | 43 |
| ბილბაო | 29 | 10 | 13 | 6 | 51:41 | 43 |
| ვალენსია | 29 | 12 | 6 | 11 | 44:38 | 42 |
| ვალიადოლიდი | 29 | 11 | 8 | 10 | 36:33 | 41 |
| რასინგი | 29 | 10 | 11 | 8 | 33:30 | 41 |
| ოვიედო | 29 | 9 | 8 | 12 | 36:43 | 35 |
| სელტა | 29 | 8 | 10 | 11 | 33:37 | 34 |
| სარაგოსა | 29 | 7 | 11 | 11 | 38:47 | 32 |
| სპორტინგი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:45 | 32 |
| კოსპოსტელა | 29 | 8 | 8 | 13 | 29:50 | 32 |
| რაიო | 29 | 8 | 6 | 15 | 28:43 | 30 |
| ესტრემადურა | 29 | 7 | 8 | 14 | 23:43 | 29 |
| ლოგრონიესი | 29 | 8 | 4 | 17 | 24:56 | 28 |
| ესპანიოლი | 29 | 7 | 6 | 16 | 31:45 | 27 |
| სევილია | 29 | 7 | 3 | 19 | 27:50 | 24 |
| ერკულესი | 29 | 6 | 4 | 19 | 24:55 | 22 |

## ბელგია

**27-ე ტური. მუსკრონი — გენტი 2:0, ლომელი — სტანდარდი 1:0, შარლერუა — ეკერენი 4:1, ლოკერენი — გენტი 1:0, ანტვერპენი — ჰარელბეკი 0:0, სერკლ ბრიუგე — ლიერსი 0:2, ანდერლეხტი — სენტტრიუდენი 3:1, აალსტი — მოლენბეკი 1:1, მეხელენი — ბრიუგე 0:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 27 | 17 | 5 | 5 | 57:30 | 56 |
| ლიერსი | 27 | 15 | 10 | 2 | 52:28 | 55 |
| მუსკრონი | 27 | 15 | 9 | 3 | 49:25 | 54 |
| ანდერლეხტი | 26 | 12 | 9 | 5 | 43:27 | 45 |
| ლომელი | 27 | 13 | 6 | 8 | 39:38 | 45 |
| ანტვერპენი | 27 | 13 | 5 | 9 | 40:35 | 44 |
| ჰარელბეკი | 27 | 12 | 7 | 8 | 43:30 | 43 |
| სტანდარდი | 27 | 13 | 2 | 12 | 44:40 | 41 |
| გენკი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:34 | 32 |
| მოლენბეკი | 27 | 8 | 7 | 12 | 28:34 | 31 |
| შარლერუა | 27 | 8 | 6 | 13 | 34:41 | 30 |
| ეკერენი | 27 | 8 | 6 | 13 | 33:42 | 30 |
| სტ. ტრიუდენი | 27 | 8 | 6 | 13 | 37:48 | 30 |
| ლოკერენი | 27 | 8 | 6 | 13 | 35:48 | 30 |
| გენტი | 27 | 8 | 5 | 14 | 35:47 | 29 |
| მეხელენი | 27 | 7 | 8 | 12 | 29:41 | 29 |
| აალსტი | 26 | 4 | 10 | 12 | 29:44 | 22 |
| სერკლ ბრიუგე | 27 | 4 | 7 | 16 | 28:54 | 19 |

## პოლონეთი

**21-ე ტური: რაკოვი — გურნიკი 0:0, ლეგია — ზაგლებიე 2:1, ამიცა — ლკს 2:2, გკს — სტომილი 2:1, ვიძევი — ბელხატოვი 1:0, ვისლა — რუხი 1:1, შლიონსკი — პუტნიკი 0:0, ლეხი — ოდრა 3:1, პოლონია — სოკოლი 1:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 21 | 15 | 3 | 3 | 38:16 | 48 |
| ვიძევი | 21 | 13 | 5 | 3 | 39:12 | 44 |
| გკს | 21 | 9 | 8 | 4 | 30:24 | 35 |
| სტომილი | 21 | 10 | 4 | 7 | 30:24 | 34 |
| ოდრა | 21 | 9 | 4 | 8 | 33:31 | 31 |
| ამიცა | 21 | 9 | 4 | 8 | 26:29 | 31 |
| პოლონია | 21 | 9 | 4 | 8 | 21:26 | 31 |
| ზაგლებიე | 21 | 7 | 7 | 7 | 25:25 | 28 |
| ლკს | 21 | 6 | 9 | 6 | 28:27 | 27 |
| ლეხი | 21 | 7 | 6 | 8 | 25:26 | 27 |
| ვისლა | 21 | 7 | 6 | 8 | 18:21 | 27 |
| რაკოვი | 21 | 6 | 8 | 7 | 18:22 | 26 |
| ბელხატოვი | 21 | 7 | 4 | 10 | 27:30 | 25 |
| პუტნიკი | 21 | 5 | 8 | 8 | 18:23 | 23 |
| გურნიკი | 21 | 6 | 4 | 11 | 20:30 | 22 |
| სოკოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 18:29 | 21 |
| რუხი | 21 | 3 | 9 | 9 | 17:25 | 18 |
| შლიონსკი | 21 | 4 | 5 | 12 | 18:29 | 17 |

## რუსეთი

**I ტური. დინამო — ცსკა 2:0, ლოკომოტივი — ბალტიკა 1:1, ალანია — კამაზი 5:0, ჟემჩუჟინა — სპარტაკი 0:1, ნ.ნოვგოროდი — კრილია 0:1, როტორი — ჩერნომორეცი 1:1, ფაკელი — ზენიტი 0:1, გაზოვიკი — როსტსელმაში 0:1, შინიკი — ტორპედო 1:3**

## ავსტრია

**22-ე ტური. ადმირა ვაკერი — აუსტრია 3:2, რიედი — ზალცბურგი 0:0, შტურმი — კაზინო 0:0, რაპიდი — ლინცერი 0:0, ლინცი — ტიროლი 0:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 22 | 12 | 8 | 2 | 45:18 | 44 |
| ზალცბურგი | 22 | 12 | 8 | 2 | 30:9 | 44 |
| ტიროლი | 22 | 10 | 6 | 6 | 33:24 | 36 |
| ლინცერი | 22 | 7 | 10 | 5 | 23:21 | 31 |
| შტურმი | 22 | 6 | 9 | 7 | 25:22 | 27 |
| აუსტრია | 22 | 8 | 3 | 11 | 25:38 | 27 |
| კაზინო | 22 | 5 | 9 | 8 | 22:29 | 24 |
| ადმირა ვაკერი | 22 | 5 | 7 | 10 | 23:35 | 22 |
| რიედი | 22 | 6 | 3 | 13 | 25:41 | 21 |
| ლინცი | 22 | 4 | 7 | 11 | 12:26 | 19 |

## ჰოლანდია

**25-ე ტური. აიაქსი — როდა 3:1, ბრედა — ტილბურგი 0:1, ფეიენოორდი — ვალვაიკი 5:0, ეინდჰოვენი — სიტარდი 1:0, ნაიმეგენი — გრონინგენი 0:0, ვიტესი — გრააფსხაპი 3:2, უტრეხტი — აზ 67 2:0, ტვენტე — ვოლენდამი 4:0. სპარტა — ჰერენვენი გადაიდო.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 25 | 18 | 4 | 3 | 67:17 | 58 |
| ფეიენოორდი | 25 | 17 | 4 | 4 | 45:24 | 55 |
| ტვენტე | 25 | 16 | 4 | 5 | 42:19 | 52 |
| აიაქსი | 24 | 11 | 9 | 4 | 33:20 | 42 |
| ვიტესი | 25 | 12 | 6 | 7 | 42:30 | 42 |
| როდა | 25 | 11 | 6 | 8 | 35:33 | 39 |
| ჰერენვენი | 24 | 9 | 10 | 5 | 41:31 | 37 |
| ბრედა | 25 | 10 | 5 | 10 | 32:36 | 35 |
| გრააფსხაპი | 25 | 10 | 4 | 11 | 38:38 | 34 |
| ტილბურგი | 25 | 8 | 5 | 12 | 29:39 | 29 |
| უტრეხტი | 25 | 6 | 10 | 9 | 30:33 | 28 |
| ვოლენდამი | 25 | 6 | 8 | 11 | 24:40 | 26 |
| სპარტა | 23 | 7 | 4 | 12 | 26:32 | 25 |
| სიტარდი | 25 | 5 | 10 | 10 | 21:38 | 25 |
| გრონინგენი | 25 | 5 | 9 | 11 | 27:46 | 24 |
| აზ 67 | 25 | 5 | 5 | 15 | 20:32 | 20 |
| ნაიმეგენი | 25 | 4 | 8 | 13 | 25:46 | 20 |
| ვალვაიკი | 25 | 4 | 7 | 14 | 24:47 | 19 |

### ტანვარჯიში

# აბრამიას მარაქაშია

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციაზე (ფიჟ) უთავბოლო სპორტული ფედერაცია, ალბათ, არ არსებობს: ორი თვის წინ მხატვრულ ტანვარჯიშში ყველა საგნით ვარჯიშში ცვლილებები შეიტანა, ქულათა დარიცხვის სისტემაც ახლებური მოიგონა და ყველა ვარჯიშს, უწინდელისგან განსხვავებით, ახლა მსაჯთა სამი ბრიგადა სჯის. კი, ბატონო, ტანვარჯიშის წესთა ცვლილება სწორედაც რომ მისი საქმეა, მაგრამ სიახლე ხომ დროულად უნდა აცნობო „ქვეშევრდომებს" — თავის წევრ ეროვნულ ფედერაციებს? ფიჟის მესვეურნი კი ასე არ მოქცეულან, თავი არ შეუწუხებიათ და მხოლოდ თებერვლის მიწურულს ბულგარეთში, ფიჟ-ის ტრადიციულ სემინარზე გააცნეს ეს წესები ფედერაციათა წარმომადგენლებს, თანაც ახალი წესების ნუსხა... 30 დოლარად მიჰყიდეს. საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ელისო ბედოშვილმაც შეიძინა სოფიაში ახალი წესები და სწორედ ამან აურია თავგზა ჩვენს ტანმოვარჯიშეებს: გოგონები საბერძნეთის ზღვისპირა კურორტ კალამატას საერთაშორისო ტურნირზე სასპარეზოდ ემზადებოდნენ, პროგრამაც შერჩეული ჰქონდათ, მაგრამ ახლებური წესებით ეს პროგრამა ძირფესვიანად შესაცვლელი გამხდარიყო — თითქმის ყველა საგნით ვარჯიშში სიახლე იყო შესატანი. ელისო ბედოშვილსაც რაღა დარჩენოდა, ოთხ დღეში შეცვალა პროგრამა და ასე, ნაუცბათევი რეპერტუარით გაემგზავრნენ კალამატას „გრან-პრის" კატეგორიის ტურნირზე.

საბერძნეთში სამი ჩვენებური გოგონა გამოვიდა: თბილისელი ეკა აბრამია, რუსთაველი ინგა თავდიშვილი და ბათუმელი ვანდა კერესელიძე. კერესელიძემ უკონკურსოდ იასპარეზა და დიდად არ გამოუჩენია თავი. თავდიშვილიც 38 სპორტსმენში მხოლოდ 26-ე იყო. აი, ეკა აბრამიამ კი შესანიშნავად იასპარეზა: რგოლით ვარჯიშში მე-7 იყო, ბაფთით — მერვე, მრავალჭიდში — მეშვიდე. იქნებ ვინმემ გაიკვირვოს კიდეც, მეშვიდე ადგილი რა წარმატებააო, მაგრამ კალამატაში მოასპარეზეთ თუ გავიხსენებთ, აღარ იქნება საკვირველი: ჩემპიონი ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი იანა ბატირშინა გახდა, ვერცხლის მედალი ელენა ვიტრიჩენკომ მოიგო — იგი ატლანტაშიც მეორე იყო, მესამე ადგილზე კი მსოფლიოს ჩემპიონი ნატალია ლიპკოვსკაია გავიდა. ეკას აგრეთვე აჯობეს ევროპის ჩემპიონმა, უკრაინელმა ნატალია პოპოვამ, გამოცდილმა ბულგარელმა ბურიანა გეორგიევამ და მასპინძელთა გუნდის ლიდერმა ვალერია პაგალუმ. ამ თანავარსკვლავედთან მიახლოება კი აბრამიასთვის მართლაც საპატიოა. მითუმეტეს, რომ ცხრილში აბრამიას შემდეგ დაიკავეს ადგილები ცნობილმა ტანმოვარჯიშეებმა — ჩეხმა ანეა სიბიესტევამ და ებრაელმა სვეტა ტოკაევამ. ეკას შემწეობით ჩვენი ნაკრები მე-7 ადგილზე გავიდა. სლავებმა საპრიზო სამეულში ადგილი არავის დაუთმეს — რუსები ჩემპიონები გახდნენ, მეორენი და მესამენი, შესაბამისად, უკრაინელი და ბელარუსი სპორტსმენები იყვნენ. ჩვენებმა აჯობეს გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის, კვიპროსის, ჩეხეთის, იუგოსლავიის, სლოვაკეთისა და უნგრეთის გუნდებს. ამ ქვეყნების ტანმოვარჯიშენი არანაირ ტიტულს არ მოისაკლისებენ და, ტრადიციულად, მსოფლიოში საუკეთესოთა შორისაც მოიხსენიებიან. რაც მთავარია, მე-7 ადგილმა აბრამიას სარეიტინგო ქულები მოუტანა: ახლა, როგორც მსოფლიოს 12 საუკეთესო ტანმოვარჯიშეთაგანს, უფლება აქვს, „გრან-პრის" სერიის დანარჩენ ტურნირებშიც იასპარეზოს — კიევის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ავსტრიის საერთაშორისო ტურნირებზე. მანამდე კი ეკა მოსკოვს ესტუმრება და ტრადიციულ „ქალთა სამყაროდ" წოდებულ ტურნირში იასპარეზებს.

**ლევან ჯაგახიშვილი**

### კალათბურთი

# იმერლები არ ჩანან

თბილისში, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში საუკეთესო ხუთეულის შემდეგ მეორე წრის პირველი ტური დაიწყეს მე-6 ადგილისთვის მოასპარეზე გუნდებმა. უფულობის გამო არ ჩამოვიდა ქუთაისის „იმერეთი" და მისი ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია.

**15 მარტი.** მაკაბი — დინამო 2 79:80, კოლხა — კაქტუსი 73:79

**16 მარტი.** კოლხა — მერანი 80:66, ასკ — მართვე 80:78

**17 მარტი.** მაკაბი — კოლხა 80:77, კაქტუსი — მერანი 87:55, ასკ — დინამო 2 83:82

| | | | |
|---|---|---|---|
| მაკაბი | 13 | 1052-1116 | 6 |
| ასკ | 13 | 1064-1142 | 6 |
| კაქტუსი | 13 | 1063-1072 | 5 |
| იმერეთი | 10 | 718-857 | 3 |
| დინამო 2 | 13 | 919-1165 | 3 |
| მერანი | 13 | 839-1024 | 2 |

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

14 მარტი

პორტლენდი — კლივლენდი 96:73, კლიპერსი — ლეიკერსი 97:95, ვაშინგტონი — მილუოკი 105:96, სან ანტონიო — ბოსტონი 103:92, ორლანდო — შარლოტი 86:81, ნიუ ჯერსი — ჩიკაგო 99:98, მაიამი — ვანკუვერი 88:82, იუტა — ინდიანა 105:96, სიეტლი — ატლანტა 97:91, ფილადელფია — მინესოტა 109:95

15 მარტი

გოლდენ სტეიტი — ტორონტო 106:102, შარლოტი — ფინიქსი 107:99, იუტა — ვაშინგტონი 100:93, ჩიკაგო — ატლანტა 99:79, დენვერი — სან ანტონიო 121:105, ფინიქსი — დალასი 101:76

16 მარტი

მაიამი — ჰიუსტონი 101:80, ნიუ ჯერსი — ნიუ იორკი 89:74, ორლანდო — ვანკუვერი 100:89, მილუოკი — ინდიანა 102:98, მინესოტა — ბოსტონი 119:101, დეტროიტი — სიეტლი 86:83, პორტლენდი — კლიპერსი 106:94, დალასი — საკრამენტო 89:88, ლეიკერსი — ტორონტო 98:90

### კრივი

# გორში თათრები უცემიათ

ირანში, მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალბედა მწვრთნელმა გიორგი კანდელაკმა აზერბაიჯანელი მოკრივეები საქართველოში მოიწვია — გორში ჩამოდით, იქ მოვსინჯოთ ძალებიო — შესთავაზა იქაური კრივის ფედერაციის თავკაცებს. ჩვენი არ იყოს, არც აზერბაიჯანელები არიან განებივრებულნი შეკრება-ტურნირებით. თავპატიჟი არ დაუწყიათ და ბაქოს სპორტკლუბ „ნეფთიჩის" მოკრივეები კანდელაკს სოფელ ვარიანში ეხლნენ. ვარიანის სპორტკლუბ „ჩემპიონის" კრივის დარბაზში ორ დღეს იპაექრეს ქართველმა და აზერბაიჯანელმა მოკრივეებმა. პირველ დღეს 13 შეხვედრიდან ჩვენებურებმა 7 ორთაბრძოლა მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და ხუთში დამარცხდნენ. კანდელაკის ბიჭებმა მეორე დღეს უფრო იყოჩაღეს და 9 ქართველმა ამღენივე აზერბაიჯანელი სცემა, ჩვენებმა მხოლოდ 4 ბრძოლა დათმეს, ფრედ კი ისევ ერთი დასრულდა. საბოლოოდ, 27 ორთაბრძოლიდან კანდელაკის შეგირდებმა 16 მოიგეს და მხოლოდ 9 წააგეს. ეს ორდღიანი მინი-ტურნირი უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ახალგაზრდა მოკრივეებს, რომლებიც ინგლისის ევროპის ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადებიან. აღსანიშნავია, რომ გიორგი კანდელაკმა მხოლოდ ნაკრების წევრები არ აკრიფა და რამდენიმე ახალბედა მოკრივესაც მოუსინჯა მკლავის ძალა და ოსტატობა.

**მამუკა ძახნიაშვილი** გორიდან

### ჰოკეი

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

**14 მარტი.** ოტავა — რეინჯერსი 3:4, დალასი — ჩიკაგო 4:4, კოლორადო — პიტსბურგი 6:3, სან ხოსე — ფინიქსი 1:4, ანაჰაიმი — სენტ ლუისი 4:4.

**15 მარტი.** ბოსტონი — აილენდერსი 5:2, ჰარტფორდი — ედმონტონი 2:4, მონრეალი — ოტავა 2:2, ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 3:2, ფილადელფია — ბუფალო 5:7, ტამპა — ვანკუვერი 2:5, ფლორიდა — ტორონტო 3:3, სან ხოსე — დეტროიტი 4:7, ლოს ანჯელესი — კალგარი 2:5.

**16 მარტი.** ვაშინგტონი — ჰარტფორდი 5:3, ტამპა — ტორონტო 1:3, ჩიკაგო — აილენდერსი 5:4, დალასი — პიტსბურგი 6:2, კოლორადო — დეტროიტი 4:2, ანაჰაიმი — კალგარი 2:2.

უქმეებზე გამართული მატჩები მაღალი შედეგიანობით და ბომბარდირთა აქტიურობით გამოირჩეოდა. ერთი სიახლეცაა — სნაიპერებს ახალი ლიდერი ჰყავთ. ფილადელფია — ბუფალოს შეხვედრაში მასპინძელთა თავდამსხმელმა ლეკლერმა (1+2) თავისი 46-ე შაიბა შეაგდო და იაგრს გაასწრო. სნაიპერთა ახალ თავკაცს და მის პარტნიორებს — ლინდროსს და რენბერგს (1+2) ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ ფილადელფიამ მაინც წააგო ბუფალოსთან, რომელიც სულ უფრო მრისხანე ძალა ხდება და მასთან ბრძოლა იოლი საქმე როდია. სეზონში პირველი გოლები გაიტანეს ბუფალოელმა რონელმა და ახალბედა პრიმომ.

ფილადელფიის შეფერხება უმალ გამოიყენა ნიუ ჯერზიმ და ვაშინგტონთან გამარჯვების შემდეგ ქულებით გაუთანაბრდა „მფრინავებს", თანაც ნიუჯერზელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული. ამ შეხვედრისადმი ინტერესი გუნდების ახალი ლიდერების: ნიუჯერზელი გილმორის და ვაშინგტონელი ოუთსის პაექრობამ გააძლიერა. ვარსკვლავებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავისი კლასი (2-2 ქულა დააგროვეს), მაგრამ მთლიანობაში „ეშმაკები" უკეთ გამოიყურებოდნენ, რაც საბოლოო შედეგშიც აისახა. ნიუჯერზელთა კიდევ ერთმა ლიდერმა ანდრეიჩუკმა თავისი მე-500 შაიბა შეაგდო.

აღსანიშნავია, რომ ვაშინგტონის თავკაცებმა ახალშეძენილ ოუთსს და ტოკეტს კლუბის საუკეთესო სნაიპერი ბონდრა შეუამხანაგეს, რამაც უმალ გამოიღო შედეგი. შემდეგ მატჩში ჰარტფორდთან ამ სამეულმა ისევ ორი გოლი გააზიარა, სლოვაკმა კი თავისი 42-ე შაიბა გაიტანა.

უკვე 11 მატჩია, არ წაუგია ანაჰაიმს. „იხვები" ორ უშუალო კონკურენტთან ფრეს დაჯაბულდნენ — ორივე შემთხვევაში ბოლო პერიოდში გაუშვეს ხელიდან მოგება. ათი ხეირიანი მატჩის შემდეგ (32 ქულა) ხელცარიელი დარჩნენ სელიანე და კარია. კალგარიმ შანსი არ მისცა მრისხანე დუეტს. ამასობაში სენტლუისელმა ჰალმა მე-40 შაიბა შეაგდო და ფინიქსელ ტკაჩუკთან ერთად შეუერთდა კიდევ ექვს სნაიპერს, რომლებმაც ამ ზღვარს მიაღწიეს.

ერთბაშად სამმა მოთამაშემ გააზიარა ჰეთ-თრიქი. უნდა ითქვას, რომ წინა ორ დღესაც დაფიქსირდა სამი ასეთი შემთხვევა. ფლორიდელი შეპარდი მორიგი სამი გოლის წყალობით უკვე 300 გოლს ითვლის, ჰარტფორდელი მანდერვილისთვის კი ეს ჰეთ-თრიქი პირველია კარიერაში. ასევე რეინჯერმა გრეიზმა, თავისი კაპიტნის მესიეს დახმარებით (3 პასი), სამჯერ აილო ოტავას კარი, გამარჯვების გოლიც მის ანგარიშზეა. გრეივზის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვაშინგტონთან წინა მატჩში მან ორი იუბილე აღნიშნა: მე-200 შაიბა და მე-400 პასი ლიგაში.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ხელი გამოიღო ჩიკაგოს მთავარმა სნაიპერმა ამონტემ (3+1), რომელმაც ჟამნოვთან (1+3) და დალენთან ერთად 10 ქულა შესძინა თავის კლუბს.

მესამე ჰეთ-თრიქზე კი ცალკე უნდა ითქვს, რადგან მისი ავტორი კარგა ხნის ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებული კოლორადოელი საკიკაა. პიტსბურგთან მატჩის დასაწყისი თასის მფლობელებს კარგს არაფერს უქადდა, მაგრამ შემდეგ საკიკმა და ფორსბერგმა (1+2) საბოლოოდ დააჩოქეს „პინგვინები".

სან ხოსეს განადგურებაში ლომის წილი კვლავ დეტროიტის რუსულმა ხუთეულმა დაიდო. რუსებმა ოთხი გოლი მოაწყვეს. ფიოდოროვი, რომელიც თანდათან შედის ფორმაში, ზედიზედ სამ მატჩში იყო შედეგიანი, მისი პარტნიორის — შენაჰანის სნაიპერული მონაგარი კი 44 შაიბაა და იგი ლემიესთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

მოულოდნელად ისედაც მდიდარ უქმეებს ვეტერანმა გარტნერმა და ვაშინგტონელმა ჰაუსლიმ ორი მიღწევა შემატეს: შესაბამისად — 1300 ქულა და მე-700 პასი. და ბოლოს: წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ ფინიქსის გოლკიპერი ხაბიბულინი (ზედიზედ სამი მშრალი მატჩი) აღიარეს.

**სამველ ლარიბიანი**

### ძიუდო

# ქუთაისელთა ბენეფისი საგარეჯოში

შაბათ-კვირას საგარეჯომ უმასპინძლა საქართველოს ჭაბუკთა (1981-82 წლებში დაბადებულები) ჩემპიონატს. ეს შეჯიბრება დასკვნითი ეტაპი უნდა ყოფილიყო ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე გასამგზავრებელი გუნდის დაკომპლექტებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ფავორიტთა შერჩევაზე მწვრთნელებმა კიდევ ბევრი უნდა იფიქრონ.

საუკეთესოდ გამოვიდნენ ქუთაისელი ძიუდოისტები, რომლებმაც ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს. ეს თითქოს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ქუთაისს ძიუდოს ტრადიციებიც გააჩნია და იქაური ახალგაზრდა მწვრთნელებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქუთაისში ელემენტარული სავარჯიშო პირობები არ არის. ცივ და ცხელ წყალზე, გათბობაზე და ამგვარ „კომფორტზე" აღარ ვლაპარაკობთ, სავარჯიშო დარბაზიც სანატრელი აქვთ ქუთათურებს. ხან რომელ შენობას მიეკედლებიან, ხანაც — რომელს. ამჟამად ერთ-ერთი ორგანიზაციის კუთვნილ კლუბში ვარჯიშობენ, იქ, სადაც წესითა და რიგით კულტურული ღონისძიებები და კონცერტები უნდა იმართებოდეს. სამწუხაროა, რომ კიბორძალიძის, გუბელაძისა და ხახალეიშვილის აღმზრდელი ქალაქის ძიუდოისტები ასეთ დღეში არიან. სიტყვამ მოიტანა და, ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი თავის მწვრთნელთან ომარ მერაბიშვილთან ერთად დაესწრო შეჯიბრებას და არაერთი დარიგებით შეეწია თანაქალაქელებს.

წონითი კატეგორიების უმრავლესობაში შარშანდელი ჩემპიონები შეიცვალნენ. ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ამირან ტოტიკაშვილის თქმით, ამ ფაქტმა გადადო პორტუგალიაში წამსვლელთა ვინაობის დადგენა. საერთოდ, ტოტიკაშვილი ერთგვარად უკმაყოფილოც კი იყო: „მოჭიდავეთა მომზადების დონე [illegible] მაკმაყოფილია. ამ ბიჭებს მეტი შეუძლიათ. ვფიქრობ, [illegible] ვერ აჩვენეს, რომ ქართული სტილის [illegible] — თითქმის არავინ ჭიდაობდა ქამრიდან, ვერც კისრულები და მოგვერდები დავინახე საკმარისად. ბევრი მუშაობაა საჭირო. მარტის ბოლოს თბილისში კიკნაძის სახელობის ტურნირი გვექნება, აპრილში — თურქეთის საერთაშორისო ტურნირი. ეს ორი შეჯიბრება საბოლოოდ გამოავლენს ნაკრების წევრებს."

**50 კგ:** 1. ირაკლი ცირეკიძე (ქუთაისი), 2. ლევან გედენიძე (წყალტუბო), 3. თამაზ თომაშვილი (გორი) და მანუჩარ მურადაშვილი (გორი)

**55 კგ:** 1. ლევან დევნოზაშვილი (ქუთაისი), 2. ოლეგ ჯაგიევი (ქუთაისი), 3. გელა ბარათაშვილი (ხაშური) და ილია გალოგრე (წყალტუბო)

**60 კგ:** 1. ნიკა გილაშვილი (საგარეჯო), 2. მორის თადუმაძე (გორი), 3. ლერი მარგიანი (თბილისი) და მიხეილ ლობჟანიძე (დუშეთი)

**65 კგ:** 1. გრიგოლ მამრიკიშვილი (ქუთაისი), 2. გელა კბილაშვილი (თბილისი), 3. ზაზა ტყემალაძე (წყალტუბო) და გიორგი თოთლაძე (ქარელი)

**71 კგ:** 1. ვანო ნადირაშვილი (დუშეთი), 2. კახა მურაშაშვილი (გორი), 3. გიორგი ნოზაძე (ხაშური) და გიორგი ყიზილაშვილი (ახმეტა)

**78 კგ:** 1. დავით ტატიშვილი (მცხეთა), 2. პაატა ნასრაძე (ზესტაფონი), 3. გიორგი გუგავა (თბილისი) და დავით დოინჯაშვილი (ახმეტა)

**86 კგ:** 1. დავით ტყეშელაშვილი (ქუთაისი), 2. გოდერძი ჯიხვაძე (ქუთაისი), 3. ივანე გოგიშვილი (თბილისი) და ლაშა ფეიქრიშვილი (თბილისი)

**მძიმე:** 1. შალვა მოსიაშვილი (ხაშური), 2. დათო ხაბულიანი (ლენტეხი), 3. იოსებ ქანთარია (თბილისი) და დათო გასვიანი (ლენტეხი)

### მძლეოსნობა

# მაშინ სტალინი ცოცხალი იყო...

მძლეოსნებმა ზამთრის სეზონი საქართველოს თასის გათამაშებით დაასრულეს. სეზონის ბოლო ტურნირზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა — ჩვენებურ სპორტსმენებს არც რეკორდები დაუმყარებიათ, არც გაუმეორებიათ, ეს კი არა, ზოგმა თავისი საკუთარი საუკეთესო შედეგიც ვერ აჩვენა. ასე, მაგალითად: შუბის მტყორცნელმა მაკა ობოლაშვილმა შუბი მხოლოდ 42 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე ტყორცნა და ასე გახდა ჩემპიონი, არადა, შვიდი წლის წინ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ობოლაშვილი უპრობლემოდ ტყორცნიდა 48-49 მეტრზე. სპრინტერმა რუსლან რუხიძემ ვერაფრით გადალახა თავისი რუბიკონი — უკვე მერამდენე ტურნირია, 60 მეტრ დისტანციაზე 6,5 წამით იმარჯვებს. ამ შეჯიბრებაზე რუსლანს კარგად აუბა მხარი მისმა ძმამ შამილ მამუდოვმა — შამილი 60 მეტრზე მეორე იყო, ხოლო 200-მეტრიან დისტანციაზე ჩემპიონი გახდა და ტიტულოვან ძმას გაასწრო. მეტად უსუსურად იასპარეზეს სიგრძეზე მხტომელებმა, მეტადრე გოგონებმა — მარგალიტა ლომიძე 5,19 მეტრზე გადახტა და ჩემპიონი გახდა. არადა, ამ სახეობაში საქართველოს რეკორდად ჯერაც ნადეჟდა დვალიშვილის 1952 წლის ნახტომი ითვლება — 6, 25 მეტრი.

საბოლოოდ, თბილისის ნაკრებმა დიდი უპირატესობით აჯობა მეტოქეებს. მეორე ადგილი ბორჯომელებმა დაიკავეს და აჯობეს ქუთაისისა და აჭარის ძლიერ გუნდებს. ეს კი უმთავრესად ბორჯომის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების გამგის თემურ ლურსმანაშვილის დამსახურებაა. მან ახლახან შეითავსა ბორჯომის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეობაც, ხელი გამოიღო, მძლეოსნებს საუკეთესო პირობები შეუქმნა მოსამზადებლად და შედეგმა არ დააყოვნა.

**ვაჟები**

60 მეტრზე სირბილი

1. რუსლან რუხიძე (აჭარა) — 6,5
2. ბადრი ბადრიძე (თბილისი) — 6,8
3. შამილ მამუდოვი (აჭარა) — 6,8

60 მეტრზე თარჯრბენი

1. სერგო ტურიაბკო (ქუთაისი) — 9,1
2. ზურაბ ელიზბარიძე (თბილისი) — 9,3
3. ზაზა გერგაია (ფოთი) — 10,2

200 მეტრზე სირბილი

1. შამილ მამუდოვი (აჭარა) — 23,0
2. რუსლან რუხიძე (აჭარა) — 23,2
3. გია მდივანი (თბილისი) — 23,8

400 მეტრზე სირბილი

1. რამაზ ჩადუნელი (ბორჯომი) — 52,8
2. ვანო არმეგონაშვილი (მცხეთა) — 53,4
3. ზურაბ ელიზბარიძე (თბილისი) — 54,8

800 მეტრზე სირბილი

1. რამაზ ჩადუნელი (ბორჯომი) — 1.59,3
2. დათო გოგოლაძე (ბორჯომი) — 2.05,9
3. გია ქართველიშვილი (ვანი) — 2.10,2

1 500 მეტრზე სირბილი

1. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი) — 4.17,9
2. დათო გოგოლაძე (ბორჯომი) — 4.20,9
3. გოგიტა გაბუნია (ვანი) — 4.31,6

3 000 მეტრზე სირბილი

1. ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალციხე) — 8.42,6
2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი) — 9.19,4
3. ვიქტორ სურიკოვი (ახალციხე) — 9.31,6

2 000 მეტრი წინაღობებით

1. ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალციხე) — 5.48,0
2. მიხეილ შევჩენკო (ბორჯომი) — 6.47,4
3. ვიქტორ სურიკოვი (ახალციხე) — 7.02,7

5 კილომეტრზე სიარული

1. დავით ონიაშვილი (აჭარა) — 30.30,9
2. ოთარ ყარყარაშვილი (გარდაბანი) — 33.12,5
3. სოსო ხმალაძე (გარდაბანი) — 33.17,8

სიმაღლეზე ხტომა

1. დავით ილარიანი (გარდაბანი) — 1,90
2. გრიგოლ მდივანი (თბილისი) — 1,85
3. თემურ ბედუკაძე (გარდაბანი) — 1,75

სიგრძეზე ხტომა

1. ვახილ მახარაძე (ქუთაისი) — 7,19
2. ედგარ გრიგოლიანი (თბილისი) — 7,0
3. მამუკა ნიკლაური (თბილისი) — 6,87

შუბის ტყორცნა

1. ზვიად ბაბუნაშვილი (ხონი) — 48,76
2. ირაკლი კვანტიძე (თბილისი) — 47,30
3. თემურ ხუბულური (თბილისი) — 42,92

ამანათრბენი (4X200 მეტრი)

1. აჭარა — 1.40,0 2. ქუთაისი — 1.41,8
3. თბილისი — 1.43,0

**გოგონები**

60 მეტრზე სირბილი

1. თამრიკო შანიძე (თბილისი) — 7,4
2. აიდა ტოროსიანი (თბილისი) — 7,6
3. მაია ჩიტიძე (ქუთაისი) — 8,1

200 მეტრზე სირბილი

1. აიდა ტოროსიანი (თბილისი) — 25,2
2. თინა მაისურაძე (თბილისი) — 27,9
3. ალიონა კამენსკაია (თბილისი) — 28,4

800 მეტრზე სირბილი

1. ქეთინო აბრამიძე (ვანი) — 2.24,8
2. მაკა დარბაიხელი (საგარეჯო) — 2.34,2
3. თამარ ზერეკიძე (ბორჯომი) — 2.37,9

1 500 მეტრზე სირბილი

1. თეა მოდებაძე (ვანი) — 5.16,5
2. ნატო ბურნაძე (ბორჯომი) — 5.16,6
3. ქეთინო დევალიშვილი (ვანი) — 5.33,7

3 000 მეტრზე სირბილი

1. თეა მოდებაძე (ვანი) — 11.17,9
2. ნატო ბურნაძე (ბორჯომი) — 11.18,6
3. ქეთინო დევალიშვილი (ვანი) — 11.43,1

სიგრძეზე ხტომა

1. მარგალიტა ლომიძე (თბილისი) — 5,19
2. მაია ჩიტიძე (ქუთაისი) — 5,16
3. ნელი ზერეკიძე (ბორჯომი) — 4,70

შუბის ტყორცნა

1. მაკა ობოლაშვილი (გარდაბანი) — 42,12
3. რუსუდან ჭინჭარაული (საგარეჯო) — 39,82
3. ეკა კეთილაძე (ხონი) — 36,70

ამანათრბენი

1. თბილისი — 1.53,9 2. ბორჯომი — 1.57,6 3. ქუთაისი — 2.01,5

### რაგბი

# ბებერი ხარის რქანიცაო...

მეოთხე წელიწადია, რაც უნივერსიტეტის მორაგბეთა გუნდმა ასეთი ტრადიცია დაამკვიდრა: ყოველი წლის 15 მარტს ამჟამად მოქმედი უნივერსიტეტელი მორაგბეები ვეტერანებს ეხკინებიან.

შაბათს „ლოკომოტივის" ბაზაზე გამართული მატჩი ერთობ საინტერესოდ და ხალისიანად წარიმართა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ვეტერანთა რიგებში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გურამ მოდებაძე და მწვრთნელი დავით კილასონია ვიხილეთ. ცხადია, ასეთი შეხვედრებისას ანგარიშს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და გამარჯვებული მუდამ მეგობრობაა, მაგრამ წესია და ვიტყვით, რომ ვეტერანებმა 19:0 მოიგეს. ბებრები ახალგაზრდული შემართებით ირჯებოდნენ და არათუ სტატიკაში, დინამიკაშიც კი ტოლს არ უდებდნენ შვილისტოლა უნივერსიტეტელებს.

**ერეკლე ძიძილაშვილი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1 დოსიე

# წელს მხოლოდ შეგვაქცევენ

სეზონი ამ ათიოდე დღის წინ, მელბურნში, ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით გაიხსნა. გეხსომებათ, იქ სხვებზე უკეთ მიხაელ შუმახერმა ივარჯიშა, ჟაკ ვილნევმა პოული მოიპოვა, მაგრამ შარშანდელისა არ იყოს, რბოლა ვერც ამჯერად დაასრულა. დამთავრებას ვინ ჩივის, წლევანდელი უპირველესი ფავორიტი პირველსავე წრეზე გავარდა. უარესი დაემართა შარშანდელ ჩემპიონ დეიმონ ჰილს, ვისაც სტარტამდე უმტყუნა მაჩანჩალა გუნდის მანქანამ. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ პირველობისთვის ისევ შუმახერმა, ვილნევის ახალმა თანაგუნდელმა ფრენცენმა და კიდევ დევიდ კულთჰარდმა იბრძოლეს, რაც ამ უკანასკნელის ახლებურად შეღებილი „მაკლარენის" გამარჯვებით დასრულდა. ისე კი, სამომავლოდ მაინც ვილნევ — შუმახერის მეტოქეობის გაგრძელებას უნდა ველოდეთ.

შემდეგ ეტაპამდე — ბრაზილიის დიდ პრიზამდე კვირანახევარი რჩება. ცოტა დაგვიანებული კია, მაგრამ ავტოსპორტის ქომაგები ალბათ მოგვიტევებენ და მაინც სიამოვნებით გაეცნობიან მონაწილე გუნდებისა და მრბოლების ამ ლაკონურ, ჩემპიონატამდელ დოსიეს.



### დანკა — ეროუზ — იამაჰა

| | | |
|---|---|---|
| FA18 | იამაჰა OX11A - V10 | ბრიჯსთოუნი |
| | | |
| 288 | 1 | - |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეიმონ ჰილი (1996 წლის ჩემპიონი), ბრიტანეთი | 36 | 67 | 20 | 21 | 326 |
| 2 | პედრო-პაულუ დინისი, ბრაზილია | 27 | 33 | - | - | 2 |

მიზანი საშუალოთა შორის ფეხის მოკიდება და მომავალი გამარჯვებებისათვის საძირკვლის ჩაყრა უნდა ჰქონდეს. ახალმა ხელმძღვანელობამ, სპონსორებმა, ძრავმა და ტოპ-პილოტმა ჰილმა ალბათ უნდა გაამართლონ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ძრავისა და შასის მორგება შრომატევადი სამუშაოა და დიდ დროს მოითხოვს, რის გამოც სეზონის სტარტზე შედეგები ნაკლებად შთამბეჭდავი იქნება.

### როზმანს — უილიამს — რენო

| | | |
|---|---|---|
| უილიამს FW19 | რენო RS9 - V10 | გუდიარი |
| 8 | 6 | |
| 362 | 97 | 95 |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ჟაკ ვილნევი, კანადა | 26 | 16 | 3 | 4 | 78 |
| 4 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, გერმანია | 29 | 48 | - | - | 29 |

ხეიბარ ფრენკ უილიამსის ბიჭები აშკარა ფავორიტები არიან. ვილნევი შარშან გაეცნო ტრასებს, სისწრაფე და მართვის ტექნიკა კი არასდროს აკლდა. ჟაკი ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია. მისი პარტნიორი ფრენცენი გამოცდილი პილოტია, ჯელობაში შუმახერზე უკეთეს მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. იგი უთუოდ ეცდება კლასის დამტკიცებას. მთავარია, თანაგუნდელები შინა ომმა არ გადაიყოლოს, მომსახურე პერსონალმა კი სეზონი სტაბილურად გალიოს, თორემ როგორც არაერთხელ მომხდარა, გამარჯვება სხვას დარჩება.

### სკუდერია — ფერარი — მალბორო

| | | |
|---|---|---|
| ფერარი 310B | ფერარი 046/2 - V10 | გუდიარი |
| 8 | 9 | |
| 570 | 118 | 108 |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | მიხაელ შუმახერი (1994 და 1995 წლების ჩემპიონი), გერმანია | 28 | 85 | 14 | 22 | 362 |
| 6 | ედი ირვინი, ირლანდია | 31 | 48 | - | - | 28 |

გუნდი ახალ სეზონს ტრადიციულად ტექნიკური პრობლემებით ეგებება. უწინ იგი ყოველთვის აბრხებდა მათ დროულ აღმოფხვრას და ტიტულის ერთ-ერთი მაძიებელიც იყო. შუმახერი წელსაც ალბათ რამდენსამე რბოლას მოიგებს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მესამე ჩემპიონობა სამომავლოდ უნდა გადადოს.

### მაილდ-სევენ — ბენეტონ — რენო

| | | |
|---|---|---|
| ბენეტონ B197 | რენო RS9 - V10 | გუდიარი |
| 1 | 2 | |
| 234 | 13 | 26 |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ჟან ალეზი, საფრანგეთი | 32 | 118 | 1 | 1 | 189 |
| 8 | გერჰარდ ბერგერი, ავსტრია | 37 | 196 | 11 | 9 | 358 |

გუნდის პილოტებმა ტესტებზე ყველას აჯობეს, რაც იმას მოწმობს, რომ მანქანები კარგადა აქვთ მორგებული. შარშანდელი ბერწი სეზონის შემდეგ ალეზიცა და ბერგერიც გამარჯვებას ეცდებიან და ვინიცობაა რამდენსამე ეტაპზე სანადელიც აისრულონ. თუ საქმე კარგად წაუვათ, იქნებ ჩემპიონობისთვისაც იბრძოლონ.

### ვესტ — მაკლარენ — მერსედესი

| | | |
|---|---|---|
| მაკლარენ MP4/12 | მერსედეს-ილმორ FO110E - V10 | გუდიარი |
| 7 | 9 | |
| 443 | 79 | 104 |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | მიკა ჰაკინენი, ფინეთი | 28 | 80 | - | - | 91 |
| 10 | დევიდ კულთჰარდი, ბრიტანეთი | 25 | 41 | 5 | 1 | 81 |

48 რბოლა იყო, რაც მაკლარენს ვერ გაემარჯვა, მაგრამ წლევანდელ პირველსავე ეტაპზე გუნდმა ნავსი გატეხა. ამის წინამძღვარი შარშანვე ჩანდა — სეზონის დამლევს გუნდის ბოლიდები ერთობ სწრაფები გახდნენ.

### ბენსონ-ენდ-ჰეჯის-ტოტალ — ჯორდან — პეჟო

| | | |
|---|---|---|
| ჯორდან 197 | პეჟო V10 | გუდიარი |
| | | |
| 97 | 1 | - |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | რალფ შუმახერი, გერმანია | 21 | ახალბედა | | | |
| 12 | ჯან-კარლო ფიზიკელა, იტალია | 23 | 8 | - | - | - |

ედი ჯორდანის გუნდს, რაკი ახალი შემადგენლობა ჰყავს, ხუთეულში მოხვედრა გაუჭირდება, თუმც კი ქულების მოპოვება მაინც უნდა შეძლოს. ირლანდიელებს ერთი ახალი საზრუნავიც გაჩენიათ — საგაისოდ ძრავი აქვთ საშოვნი.

### პროსტ გრან-პრი (ყოფილი ლიჟიე-გალუაზი)

| | | |
|---|---|---|
| ლიჟიე JS45 | მუგენ-ჰონდა 301HB - V10 | ბრიჯსთოუნი |
| | | |
| 326 | 9 | 9 |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | ოლივიე პანი, საფრანგეთი | 30 | 49 | - | 1 | 38 |
| 15 | შინჯი ნაკანო, იაპონია | 25 | ახალბედა | | | |

ახალი პატრონის ხელში გადასვლა გუნდს დიდ პერსპექტივას უქადის. „პროფესორ" პროსტის გამოცდილება თავისას იზამს — ბოლიდი მალე მოწესრიგდება. ისე კი, ახლა ძნელი სავარაუდებელია, შეძლებს თუ ვერა პანი შარშანდელი წარმატების გამეორებას — მან ხომ კარიერის პირველი გრან-პრი მოიგო.

### რედ-ბულ — ზაუბერ — პეტრონასი

| | | |
|---|---|---|
| ზაუბერ C16 | ფერარი 046/1 - V10 | ბრიჯსთოუნი |
| | | |
| 64 | - | - |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | ჯონი ჰერბერტი, ბრიტანეთი | 32 | 96 | - | 2 | 67 |
| 17 | ნიკოლა ლარინი, იტალია | 32 | 53 | - | - | 6 |

გუნდისგან კარგა ხანია წარმატებას ელიან. მოლოდინი გამართლდება, თუ ძრავი და შასი ერთმანეთს მოერგება. ძრავის გამო გუნდს პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, რადგან მისი შემქმნელი — იაპონელი ორამი გოტო ზაუბერში გადავიდა და მის გაუმჯობესებაზე მუშაობს. ისე კი, წელს წითელი ხარის წელია, გუნდის ბოლიდებს კი ზურგზე სწორედ ამ ცხოველის ხატი ამშვენებთ.

### ტირელი

| | | |
|---|---|---|
| ტირელ 025 | ფორდ ED4 - V8 | გუდიარი |
| 1 | 2 | |
| 368 | 14 | 23 |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | იოს ვერსტაპენი, ჰოლანდია | 25 | 31 | - | - | 11 |
| 19 | მიკა სალო, ფინეთი | 30 | 35 | - | - | 10 |

ბებერი კენ ტირელის ბოლიდებზე უსუსტესი ძრავია დამონტაჟებული, ამიტომ მისი ბიჭებისგან წარმატებას არავინ ელის. ერთი კია, პილოტებს კლასი არ აკლიათ, რისი წყალობითაც ალბათ საშუალოებს არ ჩამორჩებიან.

### სკუდერია — მინარდი

| | | |
|---|---|---|
| მინარდი M197 | ჰართ V8 | ბრიჯსთოუნი |
| | | |
| 186 | - | - |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | იუკიო კატაიამა, იაპონია | 33 | 78 | - | - | 5 |
| 21 | იარნო ტრული, იტალია | 22 | ახალბედა | | | |

შარშანდელი აუტსაიდერისაგან წარმატებას არც წელს უნდა ველოდეთ. რადგან ფლავიო ბრიატორემ ფინანსური მდგომარეობა შედარებით გამოუსწორა, გუნდმა შესაძლოა სეზონი სტაბილურად ჩაატაროს.

### სტიუარტ — ფორდი

| | | |
|---|---|---|
| სტიუარტ SF1 | ფორდ ცეტეკ RV10 | ბრიჯსთოუნი |
| | | |
| - | - | - |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | რუბენს ბარიჩელო, ბრაზილია | 24 | 64 | 1 | - | 46 |
| 23 | იან მაგნუსენი, დანია | 23 | 1 | - | - | - |

ახალბედა გუნდისგან წარმატებას არავინ ითხოვს. კვალიფიკაციის ნებისმიერი კარგი შედეგი და დასრულებული რბოლა გუნდს აქტივში ჩაეწერება. თუ ბოლიდის ფეხზე დაყენება მოესწრო, ახალგაზრდა და ნიჭიერი პილოტები მაჩანჩალობას თავს დააღწევენ.

### მასტერკარდ — ლოლა

| | | |
|---|---|---|
| ლოლა T97/30 | ფორდ ED - V8 | ბრიჯსთოუნი |
| | | |
| 193 | 1 | - |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | ვინჩენცო სოსპირი, იტალია | 30 | ახალბედა | | | |
| 25 | რიკარდო როსეტი, ბრაზილია | 28 | 16 | - | - | - |

კარგა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ასპარეზს. გუნდმა მანქანის პრეზენტაცია სხვებზე გვიან მოაწყო, რის გამოც ტესტირებისათვის ცოტა დრო დარჩა. ბოლიდის შესაძლებლობას სუსტი ძრავი ზღუდავს. სამომავლოდ გუნდი საკუთარი ძრავის შექმნას აპირებს. ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით წარმატებად ჩაითვლება პილოტთა მიერ საკვალიფიკაციო ბარიერის ყოველი დაძლევა და რბოლაში მონაწილეობა.

| | გუნდი | |
|---|---|---|
| შასი | ძრავი | საბურავი |
| გუნდური | პირადი | ჩემპიონობა |
| რბოლა | პოული | გრან-პრი |

| № | სახელი გვარი / ქვეყანა | ასაკი | რბოლა | პოული | გრან-პრი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|

შეადგინა ალეკო ჭაბუკიანმა

## ტელევიზია

EUROSPORT

საქართველოს დროით!

დღეს, 18 მარტს

12.30 თხილამურები. ჩრდილოური ორქიდი. მსოფლიო თასი. ოსლოდან
14.00 ჟურნალი „სიჩქარეთა სამყარო"
16.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო გოლები"
17.00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლოზანიდან: სავალდებულო ცეკვები (პირდაპირ)
20.30 ციგურაობა. შორთ-თრექი. მონრეალიდან
21.00 ფიგურული სრიალი (იხ. ზემოთ): 22.00 საზეიმო გახსნა (პ); 23.00 წყვილთა მოკლე პროგრამა (პ)
2.30 ფეხბურთი. უეფას თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები: ბრონდბიუ — ტენერიფე, ვალენსია — შალკე, ინტერი — ანდერლეხტი
4.30 ცხენოსნობა. ვოლვოს მსოფლიო თასი. დორტმუნდიდან

ხვალ, 19 მარტს

12.30 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო გოლები"
13.30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო პირველობის ნარჩევი
15.00 ფეხბურთი. უეფას თასი. წუხანდელის გამეორება
17.00 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ"
17.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"
18.00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლოზანიდან: ვაჟთა მოკლე პროგრამა (პ); 22.30 წყვილთა ნებისმიერი პროგრამა (პ)
2.30 სხეულის წრთობა: „აშშ-ის ნაწრთობი ქალბატონი"
3.30 კრივი. მძიმე წონა: ჯ. ვუდენი — ფ. სვინდელი
4.30 ჩოგბურთი. ატპ-ის ტურის თვალის გადავლება
5.00 ყინულზე ავტორბოლა

ზეგ, 20 მარტს

12.30 ავტოჟურნალი „ძრავები"
13.30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო პირველობის ნარჩევი
15.00 ციგურაობა. ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა. ბიუთიდან (აშშ)
16.30 რაგბი. შვიდკაცას მსოფლიო თასის წარდგენა: „გზა ჰონკონგისაკენ"
17.30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ავორიადან (საფრანგეთი)
18.30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი: ნებისმიერი ცეკვები (პ)
21.30 აერობიკა. გრან-პრი. შტუტგარტიდან
22.30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟთა ნებისმიერი პროგრამა (პ)
2.30 ფეხბურთი. თასების თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები
4.30 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ"
5.00 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29